შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№36 (10.141)

5—12 ოქტომბერი 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ლაშა ბექაურის სახელობის სპორტული კომპლექსი გაიხსნა

4 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის უმაღლესი წარმომადგენლები დედოფლისწყაროს სტუმრობდნენ. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოში ლაშა ბექაურის სახელობის ახლად აშენებული სპორტული კომპლექსი ოლიმპიურ ჩემპიონთან ერთად გახსნა. პრემიერმა დაათვალიერა თანამედროვე სტანდარტის სპორტული კომპლექსი და მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელებულ სამუშაოებს გაეცნო.

კომპლექსი მოიცავს 100 მაყურებელზე გათვლილ ძიუდოსა და ჭიდაობის დარბაზს, ასევე - ფიზიკური მომზადებისა და ძალოსნობის მულტიფუნქციურ დარბაზს. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობისა და გაგრილების სისტემებით, სპორტსმენების გასახდელებითა და საშხაპეებით, გათვალისწინებულია დამოუკიდებელი ოთახები მწვრთნელების, მსაჯებისა და ექიმისათვის, აგრეთვე საკონფერენციო და ადმინისტრაციული პერსონალის სივრცეები.

თანამედროვე სტანდარტის სპორტულ კომპლექსში, სპორტსმენებისა და მოყვარულების ფიზიკური მომზადების გარდა, შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ტურნირებისა და შეჯიბრებების გამართვა. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2 363 980 ლარით დაფინანსდა.

კომპლექსის გახსნის ღონისძიებაზე ასევე იმყოფებოდნენ პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, თბილისის მერი კახა კალაძე და აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები.

არხილოსკალოში ახალი სპორტული კომპლექსის აშენების პირობა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა დედოფლისწყაროში ლაშა ბექაურთან სტუმრობისას ჯერ კიდევ პირველი ოლიმპიური მედლის მოპოვების შემდეგ დადო. ძველი კულტურის სახლის შენობის დემონტაჟის შემდეგ სამშენებლო სამუშაოები დაიწყო.

ლაშა ბექაური: „ეს ის ადგილია, სადაც მე გავიზარდე. საკმაოდ რთულ პირობებში მომიწია ვარჯიშის დაწყება და პირველი ნაბიჯების გადადგმა. ეს დიდი მოტივაცია აღმოჩნდა ჩემთვის, რომ საშუალება მქონოდა და წარმატებებისთვის მიმეღწია, რათა ამ სოფლის სახელი შორს გამეტანა. პირველი გამარჯვების შემდეგ სოფელში რომ დავბრუნდი, მაშინ ჩაეყარა საფუძველი ამ დარბაზის მშენებლობას და ბედნიერი ვარ, რომ შევძელი სოფლისთვის ამის გაკეთება და აქ ასეთი მაღალი დონის კომპლექსი იმუშავებს“.

ახალ სპორტულ კომპლექსში ძირითადი მწვრთნელი ლაშა ბექაურის აღმზრდელი კახა წიკლაური იქნება, თუმცა, როგორც „შირაქთან“ საუბრისას წიკლაური ამბობს, დიდი ნაკადის გამო კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა მწვრთნელს დაამატებენ. ახალ დარბაზში ქედების ზონის ახალგაზრდების გარდა სამთაწყაროფიროსმანიდანაც ივლიან. იგეგმება სოფლებიდან ტრანსპორტის უზრუნველყოფაც.

კახა წიკლაური *(მწვრთნელი)*: „ამ დრომდე 50 მოსწავლე გვყავდა, მაგრამ მსურველი გაცილებით მეტია. სათანადო პირობების არარსებობის გამო ვერ ვიღებდით. წელს მიღება არ გვქონია, რადგან დარბაზის გახსნას ვუცდიდით. ახლა კი გამოვაცხადებთ მიღებას და დამატებით ბევრ ახალგაზრდას მივცემთ ვარჯიშის შესაძლებლობას. შესანიშნავი პირობები გვექნება საიმისოდ, რომ უფრო მეტი შედეგი ვაჩვენოთ. ლაშა ბექაურის მეორე ოლიმპიური ოქრო დამატებითი მოტივაციაა ამ სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის. 2001 წლიდან ვმუშაობ ამ სოფლებში და სავარჯიშო სივრცე არასოდეს გვქონია. მრავალი წელი სკოლის ერთ ოთახში გავატარეთ, სადაც ლაშა ბექაური გაიზარდა. ბოლო წლებში ზემო ქედში გადაგვიყვანეს და ამ დრომდე იქ დავდიოდით, ახლა ისევ არხილოში დავბრუნდით და საოცარი გარემო გვაქვს. საიმედო თაობა გვყავს, ძალიან მონდომებულები არიან, დიდ შრომას დებენ და ვნახოთ რა შედეგზე გავალთ“.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ახალი დარბაზი ხელს შეუწყობს სპორტის ამ სახეობების პოპულარიზაციას და ჯანსაღი ცხოვრებით დაკავებული მოზარდების რაოდენობის ზრდას. დარწმუნებული ვარ, ამ დარბაზში აღიზრდებიან მომავალი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები. ისიც ნათელია, რომ ამ სოფელში ოლიმპიური ჩემპიონობისთვის საჭირო პოტენციალიც არსებობს, ამიტომ, ეჭვიც არ მეპარება, ახალ ოლიმპიურ ჩემპიონებსაც გავზრდით. ამიტომ, ეს კომპლექსი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის და დედოფლისწყაროს სპორტული ცხოვრებისთვის“ .

ნონა გაფრინდაშვილი: „ვუყურებ ამ სავარჯიშო კომპლექსს და გაოცებული ვარ. ეს არის დიდი პატივი და ლაშას დაფასება. რაც მთავარია, ახლომდებარე სოფლებიდან ბავშვებს მიეცემათ შესაძლებლობა სათანადოდ მოემზადნენ. აქვეა დასასვენებელი ოთახებიც, შეეძლებათ აქვე დარჩნენ. ყველაფერი საუკეთესოდაა გათვლილი. ყველა დედოფლისწყაროელს ვულოცავ ამ ამბავს და, რა თქმა უნდა, ლაშას ვულოცავ. წარმატებები მინდა გისურვოთ“.

ილია მარტყოფლიშვილი

ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი №50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 26 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი/უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ღირებულება კი 150 ლარით განისაზღვრება.

განათლების მინისტრად ალექსანდრე წულაძე დაინიშნა

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის თანამდებობა ალექსანდრე წულაძემ დაიკავა.

განათლების ახალი მინისტრი მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ წარადგინა. წულაძე ამ დრომდე ამავე უწყებაში, მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობას იკავებდა.

ცნობისთვის, საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის ყოფილი მინისტრი გიორგი ამილახვარი თანამდებობიდან 28 სექტემბერს გადადგა. მისი თქმით, ის კერძო სექტორში ბრუნდება.

ანტიკორუფციულმა ბიურომ „გაცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტებად გამოცხადების“ შესახებ საკუთარი გადაწყვეტილება გააუქმა

ანტიკორუფციულმა ბიურომ გააუქმა მისი გადაწყვეტილება, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოსა“ და მისი აღმასრულებელი დირექტორის, ეკა გიგაურის „გაცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტებად გამოცხადების“ შესახებ.

შესაბამისი განცხადება ბიუროს ხელმძღვანელმა რაჟდენ კუპრაშვილმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

„სიტყვა - „გაუმჭვირვალობა“ - შეუთავსებელია თავისუფალ და ღია საზოგადოებასთან. ფაქტების უკანონო დამალვიდან მომდინარე საფრთხე ბევრად აღემატება იმ მიზეზებს, რითაც ცდილობენ გაუმჭვირვალობის გამართლებას. ეს ძალები ეყრდნობიან ფარულ მეთოდებს თავიანთი გავლენის სფეროს გაფართოებისთვის. მათი საქმიანობა არის დაფარული და გაუმჭვირვალე. ისინი მოქმედებენ ჩუმად და არა სიამაყით. მათი დანახარჯები არ არის გაცხადებული, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა ინფორმირებული არჩევანის გაკეთების უფლებას.

ანტიკორუფციული ბიუროს მთავარ მიზანს წარმოადგენს გამჭვირვალობის, კანონის უზენაესობისა და მოქალაქეთა ინფორმირებული არჩევანის უფლების დაცვა. ამ მიზნით, მუდმივი მონიტორინგის ფარგლებში, ჩვენ არაერთი კანონდარღვევა გამოვავლინეთ, ხოლო შესაბამისი სუბიექტები დავუქვემდებარეთ კანონით გათვალისწინებულ რეგულაციებს. ჩვენი გადაწყვეტილებები დასაბუთებულია უმაღლესი სტანდარტით და ეფუძნება სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკას. მონიტორინგის ფარგლებში ჩვენ მიერ გამოვლენილი არაერთი ფიზიკური პირი, განცხადებულ საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტად ცნობისთანავე მალევე შეუერთდა შესაბამის პოლიტიკურ პარტიას, რითაც მათ დაადასტურეს გადაწყვეტილებების უტყუარობა.

აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ არც ერთი გადაწყვეტილებით არ იზღუდება ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიერ არჩევნებზე დაკვირვების უფლება. აღნიშნულ საკითხზე გამოთქმული ბრალდებები წარმოადგენს სიცრუესა და სპეკულაციას. ერთადერთი მოთხოვნა არის პოლიტიკური მიზნით გაწეული დანახარჯების საზოგადოებისთვის გასაჯაროება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ინდივიდუალურად შევხვდით საერთაშორისო დამკვირვებლებს, მათ შორის ევროპარლამენტის დელეგაციას, ავუხსენით მათ გადაწყვეტილების შინაარსი და დავუდასტურეთ, რომ ამას არანაირი კავშირი არ აქვს სადამკვირვებლო პროცესთან, სიცრუის ტირაჟირება არათუ არ შემცირებულა, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა, რამაც საფრთხე შეუქმნა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

სამწუხაროა, რომ ორგანიზაცია, რომლის სახელწოდებაც უკავშირდება გამჭვირვალობას, პირველი აღმოჩნდა, რომელმაც უარი თქვა გამჭვირვალობაზე და ამის ნაცვლად აირჩია კანონის უზენაესობის პრინციპზე თავდასხმა. ამ ორგანიზაციას, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მსგავსად, არ სურს საზოგადოებას გაუმხილოს თუ რა მიზნით იხარჯება ათობით მილიონი ლარი მაშინ, როცა თავად კანონზე მაღლა ცდილობენ დადგომას.

იმ შემთხვევაში თუკი ამ ორგანიზაციების მიერ მოხდებოდა პოლიტიკური მიზნებით გაწეული დანახარჯების საზოგადოებისთვის გასაჯაროება, ფარდა აეხდებოდა ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენებს. მოსახლეობისთვის აშკარა გახდებოდა თუ როგორ იმართებოდა მთელი რიგი პროცესები საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის. გამჭვირვალობის შემთხვევაში ნათლად გამოჩნდებოდა თუ რა ფინანსური ინტერესები დგას, მათ შორის საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მიზნით გაკეთებული განცხადებების უკან.

საქართველოს კონსტიტუცია ცალსახად აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, ხოლო არჩევნები წარმოადგენს დემოკრატიის უმთავრეს წინაპირობას. არავის არ უნდა მიეცეს იმის შესაძლებლობა, რომ ეჭვქვეშ დააყენოს საქართველოს მოქალაქეების მიერ არჩევნებში დაფიქსირებული შედეგები. აღნიშნულიდან გამომდინარე და ქვეყნის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, აუცილებლად მივიჩნევთ გამოვიყენოთ დისკრეცია და გავაუქმოთ ყველა ის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ეს ორგანიზაციები დავავალდებულეთ გამჭვირვალე გაეხადათ პოლიტიკურ პროცესებში გაწეული დანახარჯები და ეს გაეცნოთ საზოგადოებისთვის. ანტიკორუფციული ბიურო გააგრძელებს საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებული არჩევანის სადარაჯოზე დგომას. ჩვენ ვემსახურებით საქართველოს“, — განაცხადა რაჟდენ კუპრაშვილმა.

ცნობისთვის, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ გუშინ, ანტიკორუფციულ ბიუროს მოუწოდა, „საერთაშორისო გამჭვირვალობასა” და “გაცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე ორგანიზაციად აღიარებულ სხვა სუბიექტებთან” დაკავშირებული გადაწყვეტილება შეცვალოს.

„სახელმწიფო ინტერესებისათვის და პირველ რიგში, საარჩევნო პროცესში გარე მანიპულაციის თავიდან ასარიდებლად მიზანშეწონილად მიმაჩნია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე ორგანიზაციის სტატუსი მოეხსნას — მოვუწოდებ საქართველოს ანტიკორუფციულ ბიუროს გადახედოს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნული ორგანიზაციის და სხვა შესაბამისი სუბიექტებისთვის განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე ორგანიზაციის სტატუსის შეფარდების შესახებ“,- განაცხადა კობახიძემ.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ანტიკორუფციული ბიუროს 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ეკა გიგაურისა და ხათუნა ლაგაზიძის ორგანიზაციები “საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო” და “აირჩიე ევროპა” „გაცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტებად“ გამოცხადდნენ, რის გამოც მათზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონი უნდა გავრცელებულიყო.

დედოფლისწყაროს მზა სადილის მწარმოებელი კომპანია ოქტომბრიდან ექსპორტის გაფართოებას გეგმავს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში მოქმედი ქართული ტრადიციული კერძების და კონსერვების მწარმოებელი კომპანია „სადილი“, ოქტომბერში საექსპორტო არეალის გაფართოებას განიხილავს.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, ამ ეტაპზე პროდუქცია ექსპორტზე აზერბაიჯანში გადის, თუმცა მოლაპარაკებები მიმდინარეობს ამერიკასთან, ჩინეთთან, ბალტიის ქვეყნებთან და გალფის ქვეყნებთან. ამ დროისთვის კომპანიის პროდუქციის ძირითადი ნაწილი ამჟამად, ადგილობრივ ბაზარზე იყიდება.

ცნობისთვის, „სადილი“ ბაზარზე 4 წლის წინ გამოჩნდა. საწარმო დედოფლისწყაროში სოფელ გამარჯვებაში მდებარეობს, სადაც ძირითადად ადგილობრივები არიან დასაქმებულები. საწარმოო FSSC 22000 — საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატს ფლობს. ამ ეტაპზე კომპანია 20-მდე დასახელების პროდუქტს აწარმოებს. ***შირაქი***

მირზაანში შატო გაიხსნა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მირზაანში, „ვილაჯიო მირზაანი რეზორტის“ ტერიტორიაზე შატო გაიხსნა.

როგორც „ვილაჯიო მირზაანი რეზორტის“ დამფუძნებელმა და დირექტორმა რატი ტოკლიკიშვილმა განაცხადა, ახლადაშენებული შატო მოიცავს ღვინის მარანსა და სადეგუსტაციო სივრცეს. მისი განმარტები, ეს პროექტი „აწარმოე საქართველოში“ დაფინანსებისა და „თიბისი“ ბანკთან პარტნიორობის ფარგლებში განხორციელდა.

„შატოსა და სასტუმროს სტუმრებს შეუძლიათ როგორც ქვევრის, ისე ევროპული წესით დაყენებული ღვინის დეგუსტაცია. აგრეთვე, მოისმენთ ღვინის დაყენების ისტორიებს და თუ რა გზას გადის ყურძენი „რთველიდან-ღვინომდე“. ასევე თონეში პურის ჩაკვრის მასტერკლასი, თათარას მომზადება და ჩურჩხელების ამოვლება“, - განაცხადა რატი ტოკლიკიშვილმა.

„ვილაჯიო მირზაანი რეზორტის“ ტერიტორიაზე პირველი სივრცე ორი წლის წინ გაიხსნა. სასტუმროსა და კოტეჯებში ორი სტუმრის განთავსების ფასი საუზმით 200-დან 300-ლარამდეა. კომპლექსში ჯამში მილიონამდე დოლარის ინვესტიციაა განხორციელებული.

„3 წლის წინ, 19 წლის ასაკში 170 000 ლარი გრანტი მოვიგე კოტეჯების გასაკეთებლად. ამაზე ვერც ვიოცნებებდი... მას შემდეგ ასობით ბანკეტს, წვეულებას, ქორწილს და ათასობით ქართველ, თუ უცხოელ დამსვენებელს ვუმასპინძლეთ. უამრავმა ადამიანმა შეიყვარა ეს უნიკალური ადგილი ისე, როგორც ადრე ფიროსმანს უყვარდა. არც ერთი დღე განვითარება არ შეგვიწყვეტია. ახლა ჩვენი სასტუმრო კომპლექსი მოიცავს ათ კოტეჯს, 15 ნომრიან სასტუმროს, ორ საკონფერენციო სივრცეს, რესტორანს, ბარ-რესტორანს წყალზე, ორ დახურულ თერმო აუზს ღია ტერასით (6 მ ბავშვებისთვის და 20მ საერთო), გასართობ სივრცეს, ორ ტერასას, ვენახს, ბოსტანს, სკვერს და ღვინის მარანს“ – აღნიშნავს რატი ტოკლიკიშვილი. ***შირაქი***

ხალხური სიმღერისა და გალობის სკოლის მორიგი წარმატება

დედოფლისწყაროს ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ხალხური სიმღერის და გალობის სკოლის ზემო ქედის, არხილოსკალოსა და ქვემო ქედის გუნდმა მონაწილეობა მიიღო საგუნდო საზოგადოების ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების VIII ეროვნულ კონკურსში.

ზემო ქედის, არხილოსკალოსა და ქვემო ქედის გუნდმა მეორე ტურში, ქართული ხალხური სიმღერის კატეგორიაში, მოიპოვა პირველი ადგილი და I ხარისხის დიპლომი.

„ბავშვებმა ამისთვის ბევრი იშრომეს. ბევრი წინააღმდეგობაც იყო, მაგრამ არაფერია ამ ბავშვების ღიმილზე უკეთესი და მათ განვითარებაზე უფრო მნიშვნელოვანი რამ. მადლობა საქართველოს საგუნდო საზოგადოებას, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას და დედოფლისწყაროს ჰ.გონაშვილის სახ.ხალხური სიმღერის და გალობის სკოლას, რომ უკიდურეს აღმოსავლეთში, საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები ბავშვები შეამჩნიეთ და ამდენი სიხარული მიანიჭეთ“ - აღნიშნავს გუნდის ხელმძღვანელი ანა ლოლაშვილი.

დაჯილდოვება კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება.

ექიმი ხშირად პაციენტის მეგობარი და იმედია...

„ბევრჯერ მიჭირდა, მაგრამ ჩემი პრინციპისთვის არასდროს მიღალატია... ფულს მხოლოდ კულტად ნუ გაიხდიან. ექიმმა მომაკვდავ ადამიანთან გასამრჯელო უნდა დაივიწყოს. მერწმუნეთ, ფულს ასე ვერ დააგროვებს, მაგრამ ქვეყნის სიყვარულს და პატივისცემას კი შეიძენს"-ეს ცნობილი ექიმის სიტყვებია, რომელიც ჰიპოკრატეს ფიცის გამოძახილია და ყველა მედიკოსის პოზიციას გამოხატავს.

ხათუნა აგლაძეს დედოფლისწყაროელები კარგად იცნობენ. ის ათეული წლებია, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება. რამდენიმე დღის წინ მას საპატიო დედოფლისწყაროელის წოდება მიანიჭეს.

გაზეთი „შირაქი" კიდევ ერთხელ ულოცავს მას ამ ჯილდოს და ხათუნა აგლაძესთან ინტერვიუს გთავაზობთ.

— ***ქალბატონო ხათუნა, გილოცავთ საპატიო დედოფლისწყაროელის წოდების მინიჭებას. რას ნიშნავს თქვენთვის ეს ჯილდო?***

- ეს ჯილდო ჩემთვის ძალიან დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა. როცა საზოგადოება გიცნობს და აღიარებს შენს საქმიანობას, ეს არის ძალა, რომელიც შთაგაგონებს, მეტად იშრომო და გააკეთო უფრო მეტი. ეს წოდება ჩემთვის არა მხოლოდ პირადი მიღწევაა, არამედ ყველასი, ვინც ჩემთან ერთად იმუშავა-სამედიცინო პერსონალის, ჩემი ოჯახისა და იმ ადამიანების დამსახურებაა, ვინც ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩემს გვერდით არის.

— ***თქვენ დაჯილდოვდით მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. გზა ექიმობიდან მენეჯერობამდე...***

- ექიმობა ჩემთვის ყოველთვის იყო თავდაუზოგავი შრომა და ემოციური ერთგულება პაციენტების მიმართ. თუმცა, როდესაც მენეჯერულ პოზიციაზე გადავედი, მივხვდი, რომ ბევრი რამ, რასაც მანამდე ხშირად შიშველი ხელებით ვაკეთებდით კლინიკაში, სისტემური ცვლილებების მეშვეობით, უფრო ეფექტური შეიძლებოდა გამხდარიყო. მენეჯერი უფრო მეტად არაკლინიკურ საკითხებს, პროცესების ოპტიმიზაციასა და სტრატეგიის დაგეგმვას უძღვება. მენეჯმენტში გადასვლა საჭიროებდა ახალი უნარების შეძენას – ფინანსებისა და ადამიანური რესურსების მართვას, გადაწყვეტილებების სწრაფად მიღებასა და გუნდთან ეფექტურ კომუნიკაციას. ჩემს ძირითად პროფესიას-ექიმობას, კიდევ უფრო მეტი სიღრმე და გამჭრიახობა შემატა ამ პოსტმა.

— ***თქვენ იყავით სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურის უფროსი და ხშირად როგორც რიგითი ექიმი დადიოდით გამოძახებაზე. სწორედ მაშინ შეიყვარა დედოფლისწყარომ ხათუნა ექიმი. რა შეცვალა ხელმძღვანელის პოსტმა, ხომ არ დაიკარგა ექიმი ხათუნა აგლაძე?***

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურის ხელმძღვანელად მუშაობა დიდი პასუხისმგებლობაა და პროფესიონალიზმთან ერთად სწრაფ რეაქციას და მობილობას მოითხოვს. ხელმძღვანელობა, როგორც უკვე აღვნიშნე, დიდი პასუხისმგებლობაა და ის კომფორტს არ ნიშნავს. მე, პირველ რიგში, ვიყავი ექიმი და მობილურ გუნდთან ერთად მეც აქტიურად დავდიოდი გამოძახებებზე. საავადმყოფოს მენეჯერის პოსტმა „ხათუნა ექიმი" არ „ჩაყლაპა",პირიქით, ამ როლმა უფრო მეტად გამიღრმავა ჩემი დამოკიდებულება პროფესიის მიმართ. ჩემი, როგორც მენეჯერის მიზანი იყო, რომ ოპერაციები რაც შეიძლება ეფექტურად წარმემართა, და იმ დროს, როდესაც შესაძლებელი იყო, პაციენტთან პირადად მივსულიყავი. ჩემი მუშაობა და ყოველდღიური გამოცდილება ექიმობასა და ადამიანურ ურთიერთობებში კი არ შემცირდა, პირიქით - გაღრმავდა, რადგან სისტემის დონეზე შევძელი უკეთესი მომსახურების მიწოდება.

— ***რამ განსაზღვრა პროფესიის არჩევანი?***

-ექიმობა ბავშვობიდან მინდოდა, რადგან ეს პროფესია ადამიანების დახმარებას ისახავს მიზნად. პროფესია ჩემთვის ყოველთვის იყო გზა, მნიშვნელოვანი ცვლილებები შემეტანა ადამიანების ცხოვრებაში. ექიმობა მჭიდროდაა დაკავშირებული გრძნობასთან, ემპათიასა და თავდადებასთან, რადგან ყოველდღიურად ხვდები ადამიანებს, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ.

ამას გარდა, ცნობისმოყვარეობამ, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების სურვილმა, მომცა სტიმული ამერჩია ეს პროფესია. მაშინაც კი, როდესაც რთული და სტრესული სიტუაციები წინაშე დგახარ, მომწონს ეს ვალდებულება, როცა შეგიძლია პაციენტს რეალურად დაეხმარო და ფუნდამენტურად შეცვალო მისი ცხოვრება. ექიმი ხშირად პაციენტის მეგობარი და იმედია...

— ***იმ პერიოდში, როდესაც თქვენ აბიტურიენტი იყავით, სამედიცინო ინსტიტუტში მოწყობა გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. საბჭოთა პერიოდში გამეფებული კორუფცია ბევრ მოტივირებულ ახალგაზრდას ტოვებდა საოცნებო პროფესიის მიღმა. თქვენ როგორ მოახერხეთ კორუფციული სისტემის გარღვევა?***

დიახ, მაშინ რთული პერიოდი იყო, როცა ყველა მნიშვნელოვანი ცვლილება თუ ნაბიჯი, მათ შორის, სამედიცინო ინსტიტუტში მოხვედრა, ხშირად დამოკიდებული იყო კორუფციულ პრაქტიკაზე. თუმცა, ჩემი ოჯახი და ახლო ადამიანები ყოველთვის მხარს მიჭერდნენ, მიჩვენებდნენ, რომ საკუთარი შრომითა და ნიჭით ყველაფერი შესაძლებელია. მჯეროდა, რომ მოთმინება და თავდადება გვაძლევს ყველაზე მნიშვნელოვან შედეგს – წარმატებას. რთული იყო, მაგრამ საბოლოოდ შევძელი იმ გზის გავლა, რომელიც ჩემი ოცნებისკენ მიმიყვანდა.

— ***ყველაზე დიდი ტკივილი როდის განიცადეთ?***

უდიდესი ტკივილი განვიცადე კოვიდპანდემიის დროს, როცა ყველანაირი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოვახერხე ჩემთვის უძვირფასესი ადამიანის გადარჩენა. ამ ფაქტის შემდეგ განადგურებული ვიყავი, როგორც ექიმი და როგორც ადამიანი.

— ***უსუსურობის გრძნობა, როგორც ექიმს, თუ გქონიათ როდისმე?***

დიახ, ექიმს ყველასთვის უცნობი და მძიმე განცდა აქვს, როცა თავს უსუსურად გრძნობს, რადგან ამ პროფესიაში ყველაზე დიდი გამოწვევა, ადამიანების დახმარების სურვილთან ერთად, იმ ფაქტთან შეგუებაა, რომ ყველაფერი ყოველთვის ჩვენზე დამოკიდებული არ არის. მქონია ბევრი ისეთი შემთხვევა, როდესაც გრძნობ, რომ ყველაფერს აკეთებ, მაგრამ შედეგს ვერ აღწევ; როდესაც მედიკამენტები, მკურნალობა, ოპერაციები და ყველა შესაძლო რესურსი გამოიყენე, მაგრამ საბოლოოდ პაციენტი მაინც იღუპება. ეს მაშინ არის ყველაზე მძიმედ გადასატანი.

ეს გრძნობა არ არის მხოლოდ ადამიანურად ემოციური, არამედ პროფესიული ტკივილიცაა. ექიმები, ძირითადად, ცხოვრობენ იმ აზრით, რომ მათ შეუძლიათ ადამიანის სიცოცხლე დაიცვან, რომ ყოველ ჯერზე უნდა შეძლონ სამედიცინო ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება. მაგრამ როცა რაღაც მაინც არ გამოდის, მაშინ იქმნება განცდა, რომ თითქოს შენი ძალისხმევა არაფერს ნიშნავს. ეს განსაკუთრებით რთულია მაშინ, როდესაც პაციენტთან ემპათიური და ადამიანური კავშირი იქმნება, როცა მასთან უფრო ახლოს ხარ, ვიდრე უბრალოდ „ექიმი".

მაგრამ ეს გამოცდილებები მეტყველებს იმის შესახებ, რომ ექიმობა მხოლოდ პროფესიონალიზმზე არ არის დამოკიდებული. პაციენტების დახმარება ძალიან ხშირად არა მხოლოდ ფიზიკურ თუ პრაქტიკულ დონეზე, არამედ ემოციურ მხარდაჭერაზეა დამოკიდებული. როცა პაციენტისთვის წარმოადგენ სასიცოცხლო მნიშვნელობის იმედს, მაშინ უკვე ყველანაირი უსუსურობის შეგრძნება ქრება. ექიმი ვერ შეძლებს ყველაფრის შეცვლას, მაგრამ ზოგჯერ ერთი პატარა ნაბიჯიც კი, ერთი დამაიმედებელი სიტყვა, უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია პაციენტისთვის.

— ***როდის ხართ ყველაზე ბედნიერი, როგორც ექიმი ან მენეჯერი?***

ყველაზე ბედნიერი ვარ მაშინ, როდესაც ხედავ, რომ ძალისხმევას მოაქვს შედეგი – ეს იქნება პაციენტის გამოჯანმრთელება, გუნდის წარმატებული მუშაობა, თუ რეგიონში სასიცოცხლო მნიშვნელობის პროექტის წარმატებით განხორციელება.

— ***დღეს ექიმობა კვლავ ერთ-ერთ მოთხოვნად პროფესიად რჩება, მაგრამ არა ლიდერად პროფესიებს შორის. რატომ?***

ექიმობა ნამდვილად მოთხოვნადი პროფესიაა, ვერ დაგეთანხმებით, რომ არ არის ლიდერ პროფესიებს შორის. ფაქტია, დღეს-დღეობით უამრავმა ახალგაზრდამ გამოთქვა ექიმობის სურვილი როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე უცხოეთიდან. საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტში დღეს უამრავი უცხოელი სტუდენტია ჩამოსული სრულყოფილი განათლების მისაღებად, მაგრამ პრობლემაა ის, რომ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ან საზღვარგარეთ მიდიან, ან ქვეყნის დედაქალაქში სურთ მუშაობის დაწყება, რაც რაიონის მასშტაბით ქმნის კვალიფიციური კადრების დეფიციტს.

— ***რეგიონში ახალგაზრდა ექიმები ნაკლებად ბრუნდებიან. როგორ გგონიათ, რა არის ამისი მიზეზი და რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტებში კადრების დეფიციტი აღარ იყოს?***

ჩემი აზრით, მუნიციპალიტეტებში კადრების დეფიციტის აღმოსაფხვრელად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ყველა ახალგაზრდა ექიმი ინსტიტუტის დამთავრების შემდგომ ორი-სამი წლის განმავლობაში უნდა მიამაგროს რაიონებს სამუშაოდ, ამის შემდეგ რაიონებში არ შეიქმნებოდა ახალგაზრდა კადრების დეფიციტი.

— ***მენეჯერის რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობას როგორ უთავსებთ ოჯახს?***

ძალიან რთულია იყო კარგი ხელმძღვანელი, დედა და დიასახლისი, მაგრამ მე ბუნებით მაქსიმალისტი ვარ, ვერ ვეგუები საშუალო დონეს, აქედან გამომდინარე, ვცდილობ, ვიყო ყველა სფეროში მოწესრიგებული, რამდენად გამომდის ეს, ოჯახის წევრებს უნდა ვკითხოთ.

— ***ხათუნა ექიმი, როგორც დედა და ოჯახის დიასახლისი...***

ვცდილობ, ვიყო მზრუნველი, ყურადღებიანი, მოსიყვარულე და ჩემს გარშემო მყოფ ადამიანებს შევუქმნა კომფორტი.

ესაუბრა
ინგა შიოლაშვილი

კითხვები პორტრეტისთვის:

რა გაბედნიერებთ?

მაბედნიერებს კმაყოფილი და ბედნიერი სახეების დანახვა, მინდა, ჩემს გარშემო ყველა ჯანმრთელი, წარმატებული და გახარებული იყოს.

რა ჟანრის ლიტერატურა გიყვართ?

მიყვარს შემეცნებითი, ისტორიული, პუბლიცისტური ხასიათის ლიტერატურა.

საყვარელი პოეტი, მწერალი...

საყვარელი პოეტი - გალაკტიონი, მწერლები: კონსტანტინე გამსახურდია, გურამ დოჩანაშვილი, ოთარ ჭილაძე.

საყვარელი კომპოზიტორი?

საყვარელი კომპოზიტორი გია ყანჩელი.

რას ვერ აპატიებ ადამიანს?

ადამიანებს ვერ ვპატიობ ტყუილს, ღალატს.

რა არის ერთგულება?

ერთგულება ნიჭია, რომელიც ყველა ადამიანს არ გააჩნია.

რა არის სიკეთე?

სიკეთეც თვისებაა, რომლის კეთებაც ყველას არ შეუძლია, მიყვარს დაფარული სიკეთე, რომელსაც არ სჭირდება გახმაურება, ვისურვებდი, ქვეყანაზე უამრავი სიკეთის მკეთებელი ადამიანის არსებობას.

რა არის შენთვის განტვირთვა?

ჩემთვის განტვირთვა მოგზაურობაა, მაინტერესებს ყველა ქვეყანა თავისი ისტორიით, ეთნოსით, კულტურით და ღირსშესანიშნაობებით. ბედნიერი ვარ, როცა ამის საშუალება მეძლევა.

პასუხები აქტუალურ კითხვებზე - როგორ მოვემზადოთ არჩევნებისთვის

არჩევნებამდე სულ ცოტა დრო რჩება. ამ პერიოდის განმავლობაში, შევეცდებით ამომრჩევლისთვის ყველაზე მნიშვნელოვან კითხვებს გავცეთ პასუხი და მოსახლეობის ინფორმირებულობას შევუწყოთ ხელი. ხშირად დასმულ კითხვებზე პასუხს ეტაპობრივად შემოგთავაზებთ. ერთ-ერთი ასეთი კითხვაა:

არჩევნების წინ როგორ გადავეწერო სხვა მისამართზე?

ახალ მისამართზე გადაწერა შესაძლებელია როგორც დისტანციურად, ასევე იუსტიციის სახლში მისვლით. ორივე შემთხვევაში უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი:

- თუ ბინის მესაკუთრე თავად ხართ, ცხადია, რეგისტრაციის ადგილის შეცვლისთვის მხოლოდ საკუთარი მონაცემები დაგჭირდებათ;
- ხოლო თუ რეგისტრირდებით, მაგალითად, ნათესავთან, დაგჭირდებათ ბინის მესაკუთრის ნებართვა ან ორი პირის დასტური.

იუსტიციის სახლები 20-ზე მეტ ქალაქშია.

ადგილზე მისვლის შემთხვევაში, მესაკუთრის თანხმობის დაფიქსირება შესაძლებელია:

****თუ ის თავად მივა იუსტიციის სახლში;***

****ელექტრონული ფორმით - ე.წ. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით;***

****ნოტარიულად დამოწმებული.***

სიაში ცვლილებების შეტანზე განცხადებით მიმართვა შესაძლებელია 8 ოქტომბრის ჩათვლით.

პასუხები სხვა კითხვებზე:

რას ნიშნავს პროპორციული არჩევნები?

საქართველოს ისტორიაში პირველად, 2024 წლის არჩევნები სრულად პროპორციული წესით ჩატარდება. ამ სტატიაში მოგიყვებით, რას ნიშნავს ეს და რატომაა მნიშვნელოვანი.

პროპორციული სისტემის პრინციპი მარტივია - პოლიტიკური პარტიები იღებენ არჩევნებში მიღებული ხმების წილის პროპორციულ მანდატებს.

აქამდე საქართველოში საპარლამენტო არჩევნები შერეული წესით ტარდებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ პარლამენტარების ნაწილს პროპორციული წესით, ნაწილს კი - მაჟორიტარული წესით ვირჩევდით.

მაგალითად, 2016 წლის არჩევნებზე, 150 პარლამენტარიდან 77 პროპორციული წესით იყო არჩეული - ამომრჩეველმა ხმა პარტიულ სიებს მისცა, 73 - მაჟორიტარულით - ანუ ამომრჩეველმა ხმა სხვადასხვა საარჩევნო ოლქში პარტიების წარდგენილ ან მხარდაჭერილ კანდიდატებს მისცა.

ვის ხვდება საპარლამენტო მანდატები?

„ქართულმა ოცნებამ“ 2024 წლის არჩევნებზე საკუთარი პარტიისთვის მაჟორიტარების ნაცვლად „დელეგატის“ ცნება შემოიღო, თუმცა ეს არ ცვლის მთავარს: პოლიტიკურ პარტიებს ამა თუ იმ ოლქში მაჟორიტარი კანდიდატები აღარ ეყოლებათ და ამომრჩეველი ხმას მხოლოდ პარტიულ სიებს მისცემს, სადაც პოლიტიკოსები რიგითობის მიხედვით იქნებიან ჩაწერილი - სიაში ყველას თავისი ნომერი ექნება. შედეგების გამოცხადების შემდეგ, რამდენ მანდატსაც პარტია მიიღებს, სიიდანაც შესაბამისი რაოდენობის კანდიდატს შეიყვანს პარლამენტში.

მანდატები კი ასე გადანაწილდება: შედეგების მიღების შემდეგ, ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) დააჯამებს იმ პარტიების ხმებს, რომლებმაც 5%-იანი ბარიერი გადალახეს და მიღებული ხმების წილის პროპორციულად გადაანაწილებს მათზე საპარლამენტო მანდატებს.

აი, რა წერია საარჩევნო კოდექსში:

„პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 150-ზე და იყოფა ყველა იმ პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების (არ ითვლება გაბათილებული ბიულეტენები - რ.თ.) 5 პროცენტი მაინც მიიღეს“.

კარგია თუ ცუდი პროპორციულ სისტემაზე გადასვლა დემოკრატიისთვის?

იმის მსგავსად, კარგია თუ არა 5%-იანი ბარიერი, ზუსტი პასუხი არც ამ კითხვას აქვს.

პოლიტიკის მეცნიერები გამოკვეთენ ხოლმე დადებით და უარყოფით მხარეებს, რაც ამა თუ იმ სისტემას შეიძლება გააჩნდეს, თუმცა რომელია მეტად მისაღები, უკვე კონკრეტულ ქვეყანასა და იქაურ კონტექსტზეა დამოკიდებული.

არსებობს დემოკრატიული ქვეყნები, სადაც პარლამენტს სრულად მაჟორიტარული წესით ირჩევენ. ასეთია, მაგალითად, ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები.

ზოგან საპარლამენტო არჩევნები შერეული, პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით ტარდება, როგორც, მაგალითად, გერმანიაში, იტალიასა და იაპონიაში.

ბევრი ქვეყანა კი საკანონმდებლო ორგანოს სრულად პროპორციული წესით ირჩევს. ასეთია, მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნები, ნიდერლანდი და ისრაელი.

საარჩევნო სისტემის შემუშავებისას ცდილობენ, ოქროს შუალედი იპოვონ პოლიტიკურ წარმომადგენლობასა და სტაბილურობას შორის.

მაჟორიტარულ სისტემებში, როგორც წესი, პარლამენტში ნაკლები პარტია ხვდება. ასეთ დროს უფრო ხშირია ერთპარტიული მთავრობები.

პროპორციულ სისტემებში კი პოლიტიკური ლანდშაფტი უფრო ფრაგმენტირებულია და პარლამენტში ბევრი პარტია შედის. ასეთ დროს დგება კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების აუცილებლობაც.

მაგალითად, ბრიტანეთში, სადაც „ლეიბორისტებმა“ ივლისში ჩატარებულ არჩევნებში ხმების 33.7% მიიღეს, მაჟორიტარული სისტემის გამო მანდატების 63% შეხვდათ და მთავრობა მარტოებმა ჩამოაყალიბეს.

ნიდერლანდში 2023 წლის ბოლოს ჩატარებულ არჩევნებში პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ ხმების 23.49% მიიღო, რაც 150-დან 37 მანდატში გადაითარგმნა. მთავრობის ჩამოსაყალიბებლად პარტიებს შორის შვიდი თვე გრძელდებოდა მოლაპარაკებები და საბოლოოდ, ნიდერლანდმა ხუთპარტიული სამთავრობო კოალიცია მიიღო.

პროპორციული სისტემის ბუნებას კარგად გამოხატავს ბოლო წლებში ისრაელში განვითარებული მოვლენებიც, სადაც ასევე სრულად პროპორციული სისტემა აქვთ, 3.25%-იანი ბარიერით. 2019 წლის შემოდგომიდან 2022 წლის შემოდგომამდე ხუთი არჩევნები ჩატარდა - ამ პერიოდში მთავრობამ ყველაზე მეტხანს წელიწად-ნახევარს გასტანა.

ანალოგიური ვითარებაა ბულგარეთშიც, სადაც სრულად პროპორციული სისტემა და 4%-იანი ბარიერი აქვთ. 2021 წლიდან მოყოლებული, იქ უკვე ექვსი არჩევნები გაიმართა - სამი 2021 წელს, თითო-თითო 2022 და 2023 წელს, ერთიც 2024 წლის ივნისში. 27 ოქტომბერს, საქართველოს არჩევნების მეორე დღეს, ბულგარეთში კიდევ უნდა ჩატარდეს არჩევნები.

გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია უფასოდ ოქტომბრის მეორე ნახევრიდან დაიწყება

გრიპის საწინააღმდეგო უფასო ვაქცინის 200 000 დოზა ქვეყანაში 15 ოქტომბრამდე შემოვა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსთან“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, პაატა იმნაძემ განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აცრის გაკეთება ოქტომბრის მეორე ნახევრიდან დაიწყება. რაც შეეხება ვაქცინას, როგორც ცნობილია, ქვეყანაში ოთხკომპონენტიანი ვაქცინა შემოვა.

„ჩვენთან გრიპის სეზონი იწყება ნოემბრის ბოლოდან და გრძელდება მაისამდე, ამიტომ აცრის საუკეთესო დროა ოქტომბრის ბოლო, ნოემბრის პირველი ნახევარი“, - აღნიშნა იმნაძემ.

გრიპის სეზონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რისკის და სპეციფიკური პრიორიტეტული ჯგუფებია: დიაბეტის მქონე პირები; დიალიზზე მყოფი პირები; C ჰეპატიტის მქონე პირები (მხოლოდ მკურნალობაზე მყოფნი), აივ ინფექცია/შიდსის მქონე პირები; ორგანოგადანერგილი და მუკოვისციდოზის დაავადების მქონე პირები; ბავშვთა (მ.შ. მცირე საოჯახო ტიპის) და მოხუცთა თავშესაფრების ბენეფიციარები და მათი მომვლელი პერსონალი; ორსულები; 60 წლის და უფროსი ასაკის ხანდაზმული პირები; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლები) პედაგოგები; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები; მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრების თანამშრომლები; ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი; ვეტერინარიასა და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე პერსონალი; თავდაცვის, უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამსახურის თანამშრომლები; პენიტენციურ დაწესებულებაში მომუშავე პერსონალი; შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები.

ევროპაში თავშესაფრის მაძიებელი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა მცირდება - რომელი ქვეყნები ლიდერობენ

ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა 51.7%-ით შემცირდა. თუ 2023 წლის 6 თვეში ევროპის 27 ქვეყანაში თავშესაფარი 12 240-მა ქართველმა მოითხოვა, წელს ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 5 915-მდე შემცირდა.

ამასთან, წელს, EU-ს თავშესაფრის მაძიებელთა საკითხებზე მომუშავე სააგენტოს ბოლო, 2024 წლის ივნისის მონაცემებით, თავშესაფარს საქართველოს მოქალაქეები ყველაზე ხშირად საფრანგეთში, იტალიასა და გერმანიაში ითხოვდნენ. 6-თვიან პეროდშიც სწორედ ეს ქვეყნები ლიდერობდნენ. უფრო კონკრეტულად, 2024 წლის იანვარ-ივნისში საფრანგეთში თავშესაფარი საქართველოს 1 635-მა მოქალაქემ ითხოვა (2023 წლის 6 თვეში - 3 310); იტალიაში - 1 500-მა (2023 წელს - 1 705) და გერმანიაში 1 395-მა (2023 წელს 5 155).

რაც შეეხება კონკრეტულად ბოლო, 2024 წლის ივნისის მონაცემებს, მაგ პერიოდში ევროკავშირის 27 ქვეყანაში თავშესაფარი საქართველოს 900-მა მოქალაქემ მოითხოვა. აქედან:

- ***საფრანგეთი - 280***
- ***იტალია - 220***
- ***გერმანია - 195***
- ***ბელგია - 70***
- ***ირლანდია 45***
- ***ესპანეთი - 35***
- ***საბერძნეთი - 20***
- ***ავსტრია - 20***
- ***შვეიცარია - 20***
- ***ნიდერლანდები - 5***
- ***შვედეთი - 5***

ღვინის ტურიზმის საუკეთესო ქვეყნების რეიტინგში საქართველო საფრანგეთს უსწრებს

გერმანულმა ანალიტიკურმა ცენტრმა, Statista-მ, კომპანია Bounce-ზე დაყრდნობით, ღვინის ტურიზმისთვის საუკეთესო ქვეყნების რეიტინგი შეადგინა, რომელშიც საქართველო წამყვან ხუთეულს ხურავს და საფრანგეთს უსწრებს.

რეიტინგი Statista-ს და Bounce-ის ვებგვერდებზე ვრცელდება.

რეიტინგი ხუთ ინდიკატორს ეფუძნება, როგორიც არის ქვეყანაში ღვინის მოხმარება, წარმოება, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ვენახის ფართობის პროცენტული მაჩვენებელი, ტურების, ასევე, დეგუსტაციების რაოდენობა და ღვინის ბოთლის საშუალო ღირებულება.

Statista-ს მიხედვით, საქართველოში ერთ ადამიანზე 57ლიტრი ღვინო იწარმოება, ხოლო ვენახის ფართობი ქვეყნის ტერიტორიის 0,70%-ს შეადგენს. ტურებისა და დეგუსტაციების რაოდენობა მილიონკაცზე 211-ია, ხოლო ბოთლი ღვინის საშუალო ღირებულება 5,91 დოლარია.

მონაცემების ანალიზის საფუძველზე პორტუგალიამ ყველაზე მეტი, ანუ 10-დან 8,83 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზე 8,16 ქულით მოლდოვაა, სადაც ვენახის ფართობი მსოფლიო მასშტაბის, თითქმის, 2%-ს შეადგენს. მესამეზე 7,86 ქულით იტალია, ხოლო მეოთხეზე 7,18 ქულით ესპანეთია. საქართველო წამყვან ხუთეულს 7,05 ქულით ხურავს, რითიც საფრანგეთს უსწრებს.

საფრანგეთი 6,87 ქულით მხოლოდ მე-6 ადგილზეა. მას უნგრეთი 6,52 ქულით მოსდევს. არაევროპული ქვეყნებიდან ტოპ 10-ეულში მხოლოდ ახალი ზელანდია და ჩილეა. ახალი ზელანდია 5,97 ქულით მე-8, ხოლო ჩილე 5,31 ქულით მე-10 ადგილზეა. მათ შორის, ანუ მე-9 ადგილზე საბერძნეთია, რომელმაც 5,32 ქულა დააგროვა.

რომელ სექტორებშია დასაქმებული ყველაზე მეტი ადამიანი საქართველოში

2023 წელს საქართველოში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 40.4% მსხვილ ბიზნესზე მოდიოდა, 19.8% - საშუალოზე, ხოლო 39.8% - მცირე ბიზნესზე. აღნიშნულ მონაცემებს საქსტატი აქვეყნებს.

ამავე ცნობით, საანგარიშო პერიოდში, დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 771.5 ათასი კაცი შეადგინა (2022 წელთან შედარებით 6.2%-ით მეტი), ხოლო საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე 17.2 მილიარდი ლარით განისაზღვრა (2022 წელთან შედარებით 20.7%-ით მეტი).

2023 წელს დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ბიზნეს სექტორში ლიდერობდნენ:

- ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა) - 28.6%
- ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი) 11.7 %
- დამამუშავებელი მრეწველობა - 9.6%
- ჯანდაცვის სოციალური მომსახურების საქმიანობები - 9.6%

„სტრუქტურაში ასევე მნიშვნელოვანი წილი მოდიოდა ტრანსპორტისა და დასაწყობების დარგზე - 8.4%, მშენებლობის - 8.3%, აგრეთვე ინფორმაციისა და კომუნიკაციის - 5.7% და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების - 5.1%, დარგის საწარმოებზეც", - აღნიშნულია ინფორმაციაში.

საქართველოში საწვავი გაიაფდა - როგორია ფასები ავტოგასამართ სადგურებზე

ბოლო დღეების განმავლობაში საქართველოს საცალო ქსელში ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებზე დაფიქსირდა საწვავის ფასის კლება საშუალოდ 5-8 თეთრით/ლიტრაზე. ამის შესახებ ინფორმაციას ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი ავრცელებს.

მათივე ცნობით, დღეისათვის საწვავის საშუალო ფასები ბრენდირებულ გასამართ სადგურებზე ასეთია:

- რეგულარი ტიპის ბენზინი - 2,95-3,17 ლარი/ლიტრაზე
- პრემიუმი ტიპის ბენზინი - 3,13-3,32 ლარი/ლიტრაზე
- სუპერი ტიპის ბენზინი - 3,58-3,71 ლარი/ლიტრაზე
- ევრო დიზელის საწვავი - 3,21-3,33 ლარი/ლიტრაზე
- დიზელის საწვავი - 3,21-3,26 ლარი/ლიტრაზე

„ბავშვებისგან ბევრი სიხარული და ტკბილი მოგონება დამრჩა“

ქვემო ქედში 70 წლის ქალბატონი ცხოვრობს, რომელმაც თითქმის 50 წელი ბავშვების სკოლამდელ აღზრდას დაუთმო. 17 წლის განმავლობაში სოფლის საბავშვო ბაღს ხელმძღვანელობდა, ამიტომ გასახსენებელი ბევრი აქვს. ლილი კობაიძე პრეზიდენტის ღირსების ორდენის მფლობელია. მიიჩნევს, რომ მისი მრავალწლიანი შრომა სოფელმაც დააფასა და ხელისუფლებამაც.

ლილი კობაიძე: „არხილოსკალოში ოთხშვილიან ოჯახში დავიბადე, სკოლაც იქვე დავამთავრე. კარგი ოჯახი და ბედნიერი ბავშვობა მქონდა. მამა - ლევან კობაიძე კოლექტივში მუშაობდა, ასევე იყო გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ კორესპონდენტი, წერდა ლექსებს. დედა - ელენე ბეგოიძე მთიდან, ხადას ხეობიდან იყო. დღესაც მისი შეგონებებით ვცხოვრობ და ყველაფერს ვითვალისწინებ. ბრძენი ქალი იყო და ყოველთვის ვცდილობ ისე მოვიქცე, როგორც დედას გაუხარდებოდა. ჩვენს ოჯახში ხმამაღალი სიტყვა არ თქმულა, საოცარ გარემოში ვიზრდებოდით. უნდოდათ შვილებს კარგი განათლება მიგვეღო, მაგრამ პროფესიულ არჩევანში არ ჩარეულან, სრული თავისუფლება მოგვცეს და ხელს მაქსიმალურად გვიწყობდნენ. დედა დიასახლისი იყო, მაგრამ მისგან ვისწავლე, როგორი უნდა იყოს ადამიანი. ურთიერთობების ხელოვნება მან ჩამინერგა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემთვის მშობლები ადამიანობის ეტალონი იყვნენ.

მასწავლებლობაზე სულ ვვოცნებობდი, მიყვარდა მწერლები: გამსახურდია, ვაჟა-ფშაველა, ყაზბეგი და სხვები. შემდეგ ორჯონიკიძეში ხეთაგურის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და მეთოდიკის სპეციალობა დავამთავრე. ბავშვობიდანვე მასწავლებლობა მინდოდა, მაგრამ უფრო ფილოლოგიურზე ჩაბარებას ვგეგმავდი. თბილისში ვაპირებდი სწავლას, მაგრამ დედაჩემის ძმა იყო ორჯონიკიძეში და გადავწყვიტე იქ მესწავლა. შემდეგ ქვემო ქედში ჩოქურების ოჯახში გავთხოვდი. მესამე შვილი რომ გავაჩინე მუშაობა მერე დავიწყე. მაშინ ქვემო ქედი დიდი სოფელი იყო, წარმოიდგინეთ, იმდენად ბევრი ბავშვი იყო, სამი საბავშვო ბაღი მოქმედებდა. პირველი ბაღი სოფლის ცენტრში, კულტსახლის შენობაში მოქმედებდა, მეორე ბაღი ე.წ. ბერძნების დასახლებაში და მესამე სოფლის თავში. მარტივად დავსაქმდი, ჯერ შემცვლელ მასწავლებლად ვმუშაობდი, ნახევარ განაკვეთზე, შემდეგ მთელი შტატი მომცეს.

— ***ქალბატონო ლილი, პირველ ნაბიჯებს როგორ გაიხსენებთ და ვისი თანადგომა გახსოვთ?***

— ბაღში რომ მოვედი ირა ჩოჩიშვილი იყო გამგე, საოცრად მებრძოლი ბაღისთვის და ბავშვებისთვის. ეს ქალბატონი ძალიან ახლოს მოვიდა ჩემს გულთან, მან დიდი სტიმული მომცა. ყოველდღიურად რომ ვხედავდი მის შრომას, საოცარი შემართება მქონდა. არ ღალატობდა თავის საქმეს და ბევრი კარგი რამ სწორედ მისგან ვისწავლე. ზოგადად, საოცრად კარგი კოლექტივი დამხვდა, ასევე მინდა ვახსენო ფატი მამუკაშვილი, დარიკო ცაბაურაშვილი. მათზე ასაკით პატარა ვიყავი, მაგრამ დიდი თანადგომა და ერთმანეთის მხარდაჭერა ვიგრძენი, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მოგეხსენებათ, კოლექტივის ერთიანობა წარმატებული მუშაობისთვის აუცილებელია. ყველა თანამშრომელი თუ ერთმანეთს გვერდით დაუდგება, ყველაფერი კარგად წავა. ჩემთან სულ ასე იყო. თითქმის ნახევარი საუკუნე საბავშვო ბაღში გავატარე და არანაირი დაპირისპირება, ან უკმაყოფილება ერთმანეთში არასოდეს გვქონია. ახლა ძველი თაობიდან სამნი დავრჩით, დანარჩენები ახალგაზრდები არიან, მაგრამ ისევ იგრძნობა კარგი დამოკიდებულება. იმდენად კარგი მაგალითი მაჩვენეს ჩემმა კოლეგებმა, რომ, როცა ბაღის გამგედ დავინიშნე, არც მე დამიშურებია ძალ-ღონე ბავშვების კეთილდღეობისთვის. საღებავებს და ფარდებს ვიყიდიდი ხოლმე და ოთახებს თვითონ ვღებავდი, ოჯახიც გვერდით მედგა და ერთად ვალამაზებდით საბავშვო სივრცეებს. მაშინ რთული წლები იყო, ქვეყანას უჭირდა და ვერ მოვითხოვდით. არც არავის ველოდებოდი. მაინც ვახერხებდი ისეთი ავეჯი და პირობები გვქონოდა, რომ ბავშვებს ბაღში მოსვლა გახარებოდათ.

— ***რთული წლები ახსენეთ, როგორ დაძლიეთ ეს პერიოდი?***

— მუშაობა რომ დავიწყე, კარგი პერიოდი იყო, მაგრამ მერე ყველაფერი აირია და საკმაოდ მძიმე წლები გავიარეთ. იმ თაობას კარგად ახსოვს, მშობლებს სახლიდან მორიგეობით მოჰქონდათ შეშა, საკვები პროდუქტები. ასეთი მდიდარი მენიუ არ გვქონდა, მწირი ულუფა იყო. საბჭოთა კავშირის ნგრევა, დამოუკიდებლობის პირველი ნაბიჯები, სამოქალაქო ომი, შემდეგ აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტები, უშუქობა, უპურობა... რთული დრო იდგა, მაგრამ სხვა დამოკიდებულება და ურთიერთგატანა არსებობდა მოსახლეობაში, სხვა ურთიერთობები გვქონდა. ამის ხარჯზე მოვახერხეთ მუშაობა, თავის გატანა, არასოდეს გვიღალატია ჩვენი საქმისთვის და ბავშვებისთვის.



— ***დღეს ბევრი რამ კეთდება საბავშვო ბაღებისთვის...***

— ახლა ბევრი რამ უკეთესობისკენაა შეცვლილი. სხვა რომ არაფერი ვახსენო ისიც კმარა, რომ გასულ წლებში ბუნებრივი გაზი გამოიყვანეს, ამ სოფლებში გაზი არასოდეს ყოფილა. სიმართლე გითხრათ, ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ აქ გაზი შემოაღწევდა, მაგრამ საშვილიშვილო საქმე გაკეთდა. საბავშვო ბაღშიც მიუხედავად იმისა, რომ ეს სტანდარტული შენობა არ არის, ყველაფერი საუკეთესოდაა გაკეთებული, სველი წერტილები მოწყობილი. ყველა პირობაა შექმნილი, რომ აღსაზრდელები საუკეთესო გარემოში იზრდებოდნენ. შედარებაც არ შეიძლება იმდენად გაუმჯობესდა ყველაფერი. მიხარია, რომ ასეთი დრო დადგა, საუკეთესო მენიუ და კვება აქვთ ბავშვებს. მომზადებისა და შენახვის პირობებიც სტანდარტების დაცვითაა უზრუნველყოფილი. პირდაპირ ვამბობ, ასეთი კვება არასოდეს ყოფილა, არც კომუნისტების დროს. შემიძლია ვთქვა, საუკეთესოზე საუკეთესო მენიუა, ყველაფერი გათვლილია და ასეთი რამ არ მახსოვს. სიმკაცრე ადრეც იყო, მაგრამ ასეთი კონტროლი არასოდეს ყოფილა. მეცადინეობებზე ყოველთვის გვესწრებოდნენ და გვამოწმებდნენ, მაგრამ წინათ სამზარეულო და კვება არავის აინტერესებდა. ახლა კვებას და უსაფრთხოების ნორმებს დიდი ყურადღება ეთმობა. ასე მუშაობა რთულია, მაგრამ მეტად დაცულები ვართ და ეს კარგია. პერსონალიც გადამზადებულია, ხშირად ტარდება ტრენინგები ყველა კატეგორიის თანამშრომლისთვის. ისინიც კარგად ითვისებენ სიახლეებს, მშობლებიც მაქსიმალურად ჩართულნი არიან პროცესში. ამას ისიც დაემატა, რომ ყოფილი კულტურის სახლის შენობის ადგილზე ახალი საბავშვო ბაღი უნდა აშენდეს. სოფლის ცენტრში ძველი კლუბის შენობა ახლახან დაშალეს და ტერიტორია მოასუფთავეს, მოედანი მზადაა და ველოდებით რომ მალე მშენებლობა დაიწყება.

— ***ნახევარი საუკუნე საბავშვო ბაღში გაატარეთ, ალბათ აღზრდის მეთოდები ბევრჯერ შეიცვალა...***

— ახლა ბავშვებთან მიდგომები შეიცვალა და ახალი მეთოდები მოქმედებს. საბავშვო კუთხეები გვაქვს და მეტი აქტივობებია. ასევე, ძალიან მომწონს, რომ მეტი თავისუფლება აქვთ ბავშვებს. ადრე მეტი სიმკაცრე იყო, ახლა თავისუფლება მიეცათ. უფრო სხვანაირი თაობა წამოვიდა. მეტად იციან ჯგუფური მუშაობა, მეტი კომუნიკაცია აქვთ ერთმანეთთან და სკოლებიც ყოველთვის კმაყოფილი არიან ბაღიდან გაშვებული ნაკადით. ისეთი თამამი ბავშვები მოდიან და უკვე იმდენი რამ იციან, გულწრფელად მიხარია. ადრე ბევრად მორცხვი ბავშები იყვნენ, უჭირდათ კომუნიკაცია. ახლა ბევრად გახსნილები და თამამი ბავშვები არიან. ძველი დროის და ახლანდელ ბავშვებს რომ ვადარებ, პროგრესი აშკარაა. ძალიან გონებაგახსნილი, განვითარებული და ნიჭიერი აღსაზრდელები არიან. ჩვენც მაქსიმალურად ვცდილობთ ფეხი ავუწყოთ მათ და თავი ბედნიერად იგრძნონ.

ოჯახის თანადგომა აუცილებელია, თუ ხელშეწყობა არ გაქვს ეფექტურად ვერ იმუშავებ. მითუმეტეს ქალს გაუჭირდება. ხშირად ღამის 1—2 საათამდე ბაღში ვყოფილვარ. ხან შეშა უნდა მოეტანათ და აგვიანებდნენ, ხან სხვა საკითხების გამო. მეუღლის თანადგომას მუდმივად ვგრძნობდი, იქ იყო და მელოდებოდა ხოლმე. თუნდაც სადმე წასვლა ყოფილიყო საჭირო, ამ დროს სულ მისი იმედი მქონდა. თუ რამე შევძელი, სწორედ ოჯახის თანადგომით მოვახერხე.

რთული ცხოვრება გავიარე, ბევრი ტკივილი ვნახე. ორი ქალიშილი და ერთი ბიჭი მყავდა, 1993 წელს 16 წლის ვაჟი გარდამეცვალა. ტრაქტორით თივა მოჰქონდათ და სოფელში ტრაგედია მოხდა. ამ დროს ბაღში ვიყავი, ძალიან მძიმეა ჩემთვის ამ ყველაფრის გახსენება. ძალიან განვიცადე. მეგონა ცხოვრება დამთავრდა და ვეღარაფერს შევძლებდი. ისევ ჩემმა საქმემ და სამსახურმა დამაძლევინა ეს ტკივილი. თანამშრომლები სახლში მოვიდნენ და გამიყვანეს სამსახურში, თორემ აღარ ვაპირებდი მუშაობას. შემდეგ კიდევ ერთი ბიჭი გავაჩინე და ასე გავაგრძელე ცხოვრება და ბავშვებზე ზრუნვა. ორი წლის წინ, 73 წლის ასაკში მოულოდნელად მეუღლე გარდამეცვალა და მარტო დავრჩი. გული აწუხებდა, მაგრამ მაინც მოულოდნელი იყო. ჩემი ერთი გოგო ამერიკაშია, მეორე თბილისში მუშაობდა, მაგრამ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მარტოობა მიჭირდა, სახლში ვერ ვჩერდებოდი. ამიტომ ჩემი შვილი თბილისიდან ოჯახთან ერთად დაბრუნდა და ცდილობს მარტოობა შემიმსუბუქოს. სასამართლოში მდივნად მუშაობდა, იურისტია, მაგრამ გადაწყვიტა სოფელში დაბრუნებულიყო და საბავშვო ბაღში დაიწყო მუშაობა.

— ***16 სექტემბრიდან სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად საკადრო ცვლილება განხორციელდა ქვემო ქედის ბაღში და ხელმძღანელის პოსტი დატოვეთ...***

— 30 წელი ბაღის მასწავლებელი ვიყავი, შემდეგი 17 წელი ხელმძღვანელად ვიმუშავე. სექტემბრიდან კი გადავწყვიტე ხელმძღვანელობა დამეთმო. ლამაზი დღე იყო, ცენტრის ხელმძღვანელი ჩამოვიდა, ნაყოფიერი მუშაობისთვის მადლობა გადამიხადა და დამასაჩუქრა. პანდემიის დროს კოვიდი რთულად გადავიტანე, ბოჭორიშვილის კლინიკაში თვენახევარი ვიწექი, ძლივს გადამარჩინეს. არ ეგონათ თუ ამ ვითარებიდან გამოვძვრებოდი. საბედნიეროდ, დავძლიე, მაგრამ ვირუსმა ბევრი გართულება დამიტოვა. ბოლო ხანს ვატყობ ჩემს თავს, რომ ძალა აღარ მომდევს, რომ ისევ ისეთი ენერგიული და ეფექტური ხელმძღვანელი ვიყო. მიჭირს გადაადგილება, შემეზღუდა მოძრაობა. ახალი სისხლი და ახალგაზრდული შემართება ბევრად წაადგება საბავშვო ბაღების მუშაობას. ვერ დავუშვებ, რომ საქმეს რამე დავაკლო. ამიტომ, ხელმძღვანელობას ვთხოვე, ცვლილება განეხორციელებინა და ახალი სასწავლო წლიდან სპეციპედაგოგად და ფსიქოლოგად გადამიყვანეს. სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების აღზრდა დამევალა. ჩვენ გვყავს სამი აღსაზრდელი, რომლებიც საზღვარგარეთ დაიბადნენ და სოფელში ახლა დაბრუნდნენ. მათ ქართული ენა არ იციან და სპეციალურ განათლებას საჭიროებენ. წელს რვა ახალი აღსაზრდელი შემოვიდა. ქვემო ქედის საბავშვო ბაღის მენეჯერად ჩემი შვილი, ესმა ჩოქური დაინიშნა. მას ძალიან კარგი და ამავდროულად რთული საქმე გადავაბარე. ვიცი, რომ მოინდომებს და შეძლებს საქმის წინ წაყვანას. ძალიან ჭკვიანი გოგოა, საქმის მოყვარულია, აქვს მუშაობის გამოცდილება. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ფსიქოლოგის სპეციალობაც მიიღო.

6 შვილიშვილი მყავს, ორი გოგო, ოთხი ბიჭი, ასევე სამი შვილთაშვილი. სულ ახლახან შემეძინა მეექვსე შვილიშვილი, კახი ჩოქური. მათით ვცოცხლობ და ცხოვრება მათით მიხარია. ჩემი სიცოცხლეები არიან. მიუხედავად იმისა, რომ შორს ცხოვრობენ, ყველასთან ახლო ურთიერთობა მაქვს და ხშირი მიმოსვლა გვაკავშირებს.

— ***ამ გადასახედიდან, რამდენად დაფასებულად გრძნობთ თავს?***

— 2012 წელს პრეზიდენტის ღირსების ორდენი გადმომეცა, ეს მთავრობის უმაღლესი ჯილდოა. ასევე 2017 წელს დედოფლისწყაროობაზე წარმატებული დედოფლისწყაროელის წოდება მივიღე, მაქვს მადლობის სიგელებიც. დაფასებულად ნამდვილად ვგრძნობ თავს. მადლობელი ვარ, რომ ჩამთვალეს ღირსად და დაინახეს ის მრავალწლიანი შრომა და ამაგი, რაც ერთიდაიმავე საქმეში მაქვს ჩადებული. მართლა დიდი სიყვარული მაკავშირებს ჩემს სამსახურთან და მიხარია, რომ ამას ხედავენ. წლების მანძილზე ბევრი დაბრკოლება გადავლახე და ეს მარტივი არ იყო. მადლობა მინდა ვუთხრა დედოფლისწყაროს მერიას, საკრებულოს, ნიკოლოზ ჯანიაშვილს, ნუგზარ პაპიაშვილს, სააღმზრდელო ცენტრს. მუდმივი თანადგომისთვისა და მზრუნველობისთვის, რასაც ბაღის მიმართ იჩენდნენ.

— ***რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი განვლილი ცხოვრებით, გაქვთ თუ არა რაიმე დანაკლისი?***

— ცხოვრებას რომ გადავხედავ, რა თქმა უნდა, მაქვს რაღაც დანაკლისი, რომ სკოლის მასწავლებლად ვერ ვიმუშავე... მაგრამ, საბავშვო ბაღიდან და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისგან იმხელა სიხარული და ტკბილი მოგონებები დამრჩა, რომ ამან ყველაფერი გადაწონა. ზოგადად, დღეს ცოცხალი რომ ვარ, ეს სწორედ ამ ბავშვების და ჩემი სამსახურის დამსახურებაა. რამდენად დიდ ტკივილსაც არ უნდა ატარებდე, ვალდებული ხარ არაფერი გამოხატო და ბაღის კედლებში არ შეიმჩნიო. ბავშვებთან ვერ გამოხატავ შენს პირად ტკივილს, მას მომღიმარი მასწავლებელი და პოზიტიური გარემო სჭირდება. ამან ბევრი რამ დამაძლევინა და ბედნიერი ვარ, როცა ვიხსენებ, რომ ამ 47 წლის განმავლობაში ქვემო ქედში ათეულობით თაობა გავზარდეთ და დავაფრთიანეთ. იმდენი თაობა გამოვზარდე, მათ შვილიშვილებსაც კი ვასწავლი. ყველა ლილი მასწავლებელს მეძახის და სითბოს გამოხატავს. ხმამაღლა არასოდეს მიმიმართავს ბავშვისთვის, არც უხეში საუბარი მჩვევია. ვფიქრობ, კარგად შევეთვისე ქვემო ქედის ცხოვრებას. ყველასთან კარგი ურთიერთობა მქონდა. წლების მანძილზე პრობლემა არავისთან მქონია. მთიული ვარ, აქ კი ძირითადად ფშაველები ცხოვრობენ, ამიტომ ერთმანეთს კარგად ვუგებთ“...

ილია მარტყოფლიშვილი

იცით, რატომ ყივიან მამლები ყოველთვის ერთსა და იმავე დროს?

თუ სოფელში გაიზარდეთ ან ცოტა ხნით მაინც მოგიწიათ იქ ცხოვრება, აუცილებლად გეცოდინებათ, რომ მამალზე კარგი და სანდო მაღვიძარა არ არსებობს– ეს მაშინ, როცა დილით ადრე ხართ ასადგომი; მაგრამ თუ სუფთა ჰაერზე საწოლში ნებივრობა და დილის ძილი თქვენი ჰობია, მაშინ ნურას უკაცრავად – ეს აბეზარი ფრინველი არა და არ მოგასვენებთ და ჯიუტად შემოსძახებს ყიყლიყოს მანამ, სანამ იძულებული არ გახდებით მის ბრძანებას დაემორჩილოთ და ლოგინიდან წამოდგეთ.

მაინც რატომ ყივიან მამლები გამთენიისას ყოველთვის ერთსა და იმავე დროს? როგორ მუშაობს ეს ბიოლოგიური მაღვიძარა, რომლის გამორთვა შეუძლებელია? ამ კითხვაზე პასუხს იაპონელი ორნიტოლოგები გაგვცემენ, რომელთაც გამოიკვლიეს და შეისწავლეს ცოცხალი მაღვიძარას მოქმედების მექანიზმი.

თუ ისტორიას გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ მამალი (და ზოგადად ქათმები) პირველად მოაშინაურეს ინდოეთში დაახლოებით 2000-3000 ათასაწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. იქ ისინი წმინდა ფრინველებად ითვლებოდნენ. მამლებთან იყო დაკავშირებული უამრავი ცრურწმენა და წინასწარმეტყველება. მაგალითად, მამლის და ზოგადად ქათამის დაკვლა და საკვებად გამოიყენება არ შეიძლებოდა. ისინი ინდოელებს გაშვებული ჰყავდათ თავიანთ ეზოებში ავი სულებისა და უბედურებისაგან ოჯახის დასაცავად.

მამლის „რეპერტუარში“ დაახლეობით 24 განსხვავებული ხმოვანი სიგნალია. მისი ყივილი კი 90 დეციბალის სიძლიერეს აღწევს.

ახლა კი დავუბრუნდეთ მთავარ კითხვას: რატომ ყივიან მამლები დილაობით ერთსა და იმავე დროს? - ცნობილია, რომ ისინი რეგულარულად სამჯერ ყივიან-შუაღამისას, გამთენიისას და დილით, თუმცა მამლის ყივილი დღის ნებისმიერ დროს შეიძლება გავიგონოთ. ორნიტოლოგების აზრით, მამლის ყივილი არის დემონსტრირება მის უპირატესობისა, კერძოდ იმისა, რომ ამ ეზოს, ამ ტერიტირიის ბატონ-პატრონი ისაა. გარდა ამისა, ყივილით ისინი კონტაქტს ამყარებენ მეზობელ-კონკურენტ მამლებთან.

დიდი ხნის მანძილზე აინტერესებდათ ადამიანებს, თუ რატომ ყიოდნენ მამლები გამთენიისას ზუსტად ერთსა და იმავე დროს, სანამ იაპონელმა მეცნიერებმა არ ჩაატარეს ექსპერიმენტი და პასუხი არ გასცეს ამ კითხვაზე: როგორც ვარაუდობდნენ, მამლის ყივილი არის ერთგვარი განაცხადი იმისა, რომ ახალი დღე დგება. პირველ სიგნალს იძლევა ყველაზე უხუცესი, დომინირებადი, პირველი რანგის მამალი, რომელსაც ექოს აძლევენ მეორე რანგის მამლები და ასე შემდეგ. საოცარია, მაგრამ ეს ფრინველები საოცრად მკაცრად იცავენ იერარქიას.

მამლის ყივილი ტერიტორიულ აკუსტიკურ სიგნალს მიეკუთვნება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ფრინველების ურთიერთობაში, განსაკუთრებით ველურ ფრინველებს შორის. თუმცა შინაური მამლები აგრძელებენ მთელი სოფლისთვის საქათმეში თავისი უფლებების შესახებ შეტყობინებას. ყივილი გამოწვევაა სხვა მამლებისა, რაზეც სხვები ასევე ყივილით პასუხობენ. მეცნიერები ამბობენ, რომ ასეთი სისტემა ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ადამიანი მოიშინაურებდა ქათმებს. სწორედ ყივილი ეხმარებოდა მათ დაეცვათ თავიანთი ტერიტორია და მოეგერიებინათ მცირე ზომის მტაცებლები და თუ მამალი ღამით უდროო დროს ყივის, ეს ერთგვარი სიგნალია იმისა, რომ საქათმეში რაღაც ვერაა რიგზე და ქათმებს თავს მტაცებელი დაესხა.

მაგრამ იაპონელი მეცნიერების ექსპერიმენტის ყველაზე საინტერესო შედეგი იყო იმის დადგენა, რომ მამლებს არ გააჩნიათ ბიოლოგიური საათი. ამის ვარაუდი მანამდეც არსებობდა, თუმცა ეს უკვე მეცნიერულად დასაბუთდა. ექსპერიმენტის დროს მამლებს ათავსებდნენ აბსოლუტურად ბნელ ოთახში, ისე, რომ ისინი სინათლეს საერთოდ ვერ ხედავდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფრინველები მაინც აგრძელებდნენ ყივილს გამთენიისას ერთსა და იმავე დროს...ამ დაკვირვების საფუძველზე სწავლულებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ მამლების ბიოლოგიური რიტმი შეესაბამება ჩვეულებრივ დღე-ღამურ რიტმს. სწორედ ამიტომ იღვიძებენ ისინი ყოველთვის ერთსა და იმავე დროს და ომახიანი ყივილით გვამცნობენ ახალი დღის დაწყებას.

საპონის გამოყენება, სანთლის დამზადება, ფანჯრები – ყველაზე უცნაური ჯარიმები მსოფლიო ისტორიაში

ისტორიის განმავლობაში, მთავრობები გიუჯეტის შევსებას უჩვეულო გადასახადების დაწესებით ცდილობდნენ.

მაგალითად, ინგლისში, მე-17 საუკუნეში დაწესებული იყო გადასახადი ფანჯრებზე.

წარმოგიდგენთ ყველა დროის ყველაზე უცნაურ გადასახადებს:

კულინარიული ზეთი (3000–300 ძვ. წ.)

ძველ ეგვიპტეში ფარაონებს გადასახადი ჰქონდათ დაწესებული კულინარიული ზეთის გამოყენებაზე.

გადასახადების ამკრეფები კი დადიოდნენ კარდაკარ და ამოწმებდნენ, რა სახის ზეთს იყენებდნენ მოქალაქეები. ვინაიდან ეგვიპტელებს იმ დროისთვის ოფიციალური ვალუტა არ ჰქონდათ, გადასახადი სხვადასხვა მოსავლის ჩამორთმევას გულისხმობდა.

მარილი (1350)

კიდევ ერთი გადასახადი, რამაც გამოიწვია უზარმაზარი ცვლილება, იყო „გაბელის“ მარილის გადასახადი საფრანგეთში. მიუხედავად იმისა, რომ კანონი 1790 წელს გაუქმდა, ნაპოლეონმა იგი აღადგინა 16 წლის შემდეგ და ის 1945 წელს ისევ გაუქმდა.

წვერები (1535–1772)

ინგლისის ტიუდორებმა პირველად გამოიგონეს შემოქმედებითი წვერის გადასახადი. გადასახადი წვერზე მეფე ჰენრი VIII-მ შემოიღო 1535 წელს. მისმა უმცროსმა ქალიშვილი ელიზაბეტ I-მა ასევე დააწესა ბაჟი ულვაშებზე. გადასახადი გაუქმდა 1772 წელს.

ფანჯრები (1696)

კიდევ ერთი გამოუსადეგარი ბრიტანული გადასახადი იყო ფანჯრის გადასახადი. 10-ზე მეტი ფანჯრის მქონე სახლებს 10 შილინგის გადახდა უწევდა. გადასახადმა ნეგატიურად იმოქმედა ერის ჯანმრთელობაზე, რადგან არაკეთილსინდისიერი მემამულეები ფანჯრებს აგურით აშენებდნენ, რაც სახლში სინესტეს იწვევდა. ბინადრები კი მარტივად ავადდებოდნენ. გადასახადი გაუქმდა 1851 წელს.

სანთლები (1709)

დიდ ბრიტანეთში 1709 წლიდან 1831 წლამდე სანთლები იბეგრებოდა და არავის შეეძლო მისი დამზადება ლიცენზიის გარეშე.

საპონი (1711)

ბრიტანეთში პოლიტიკოსებმა გადაწყვიტეს საპნის გადასახადის დაწესება, რადგან ათწლეულების განმავლობაში ის ფუფუნების პროდუქტად ითვლებოდა. გადასახადი 1835 წელს გააუქმა პრემიერ მინისტრმა უილიამ გლადსტონმა და ხალხს თავისუფლად შეეძლო საპონის გამოყენება.

ჩრდილები (1993)

2017 წელს იტალიაში, ქალაქ კონელიანომ აამოქმედა 1993 წლის ნაკლებად ცნობილი კანონი - 100 ევროს ოდენობით დაიბეგრა მაღაზიები, რომელთა ქოლგები საზოგადოებრივ ბილიკებზე ჩრდილს ქმნიდა.

სიხარულის ცრემლები...

გაზეთის წინა ნომერში ჩვენ საუბარი გვქონდა მთქნარებაზე და მის დადებით ზეგავლენაზე ორგანიზმსა და ფსიქიკაზე. არანაკლებ ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე ღიმილი. ის ერთი მხრივ აძლიერებს სახის კუნთების განთავისუფლებას მეორე მხრივ-წარმოშობს დადებითი ემოციების იმპულს, რომელიც თავის ტვინისკენ მიემართება. ღიმილი შედგება კუნთების დაჭიმვისა და მოდუნებისაგან, მაგრამ მარტო ამაში არ არის საქმე. საყურადღებოა, რომ ღიმილი არამარტო იბადება სიამოვნებისაგან, არამედ უკუკავშირის პრინციპით თვითონ ბადებს კმაყოფილებას და პოზიტიურ განწყობას.

მართლაც, საკმარისია ადამიანმა ღიმილის იმიტაცია მოახდინოს, გააკეთოს ღიმილის გრიმასა, რომ მისი ემოციური ფონი ოდნავ მაინც გაუმჯობესდეს. ეს ხდება იმიტომ, რომ კუნთების ამ ერთმნიშვნელოვან წყობის „ასახვის“ მხოლოდ ის სასიამოვნო წუთები, როდესაც ადამიაი განიცდიდა ბედნიერებას და სიხარულს. პირიქითაც ხდება - საკმარისია ადამიანი ოდნავ წელში მოიხაროს, მხრები ჩამოუშვას და თავი ჩაქინდროს, რომ მისი გუნება-განწყობა ცოტა ხანში დაქვეითდება.

ღიმილის დადებითი ემოციური ეფექტი შეიძლება მნიშვნელოვნად გავაძლიეროთ „სიხარულის ცრემლების“ ვარჯიშის საშუალებით.

ფიზიოლოგები თვლიან, რომ ემოციონალური ცრემლები - სტრესიდან დაცვის რეაქციაა. ცრემლებთან ერთად სტრესის ჰორმონები გამოიდევნება, რომლებიც აძლიერებენ რა ორგანიზმის საერთო წინააღმდეგობის უნარს, ხანგრძლივი დაგროვების შედეგად ავნებენ კიდეც მას. მის ზედმეტ გადაძალვას იწვევენ. ამიტომ კრიტიკულ სიტუაციებში ცრემლების შეკავებას, სტრესულ დაავადებამდე მივყავართ (გულსისხლძარღვთა პათოლოგია, კუჭ-ნაწლავის წყლული, ავთვისებიანი სიმსივნე და სხვა).

არსებობს ძალზე ეფექტური ხერხი, როგორ გამოვიწვიოთ „სიხარულის ცრემლები“. დავხუჭოთ თვალები, მოვადუნოთ სხეული, ოდნავ შევჭმუხნოთ ცხვირი, და ავწიოთ წარბები. შემდეგ საჭიროა გონებაში წარმოვთქვათ მაღალი „ი“ და ერთდროულად წარმოვიდგინოთ, რომ ეს ბგერა სადღაც წარბებშუა იბადება. შემდეგ უფრო მაგრად შევჭმუხნოთ ცხვირი, უფრო მაღლა ავზიდოთ წარბები და წარმოვიდგინოთ, რომ „ი - ი- ი“ სულ უფრო და უფრო მაღლა გაისმის. ამ სავარჯიშოს შესრულებისას ადამიანთა უმრავლესობას თვალებზე ცრემლები უბრწყინავს. თუ შეძლებ და წარბები აწეული დაიჭირე, ბევრს უჩნდება უფრო ძლიერი - სხვებს ოდნავ შესამჩნევი. სასიამოვნო შვების შეგრძნება, მხიარული განწყობილების შეგრძნება უფრო ძლიერდება თუ ამ სავარჯიშოს უშუალოდ მთქნარების სავარჯიშოს შემდეგ შევასრულებთ.

გესიკ გიგოლაშვილი,
ფსიქოლოგი

საქართველოს პირველი საკოლექციო, 8000-ევროიანი ბანკნოტი დაიბეჭდა

ნიდერლანდში, კერძოდ კი მაასტრიხში, სადაც ევროკავშირის შექმნას მოეწერა ხელი, ყოველწლიურად ქაღალდის ფულის გამოფენა იმართება. წელს პირველად ამ გამოფენაზე კუპიურა საქართველოდანაც წარადგინეს.

8000-ევროიანი კუპიურის ერთ მხარეს გამოსახულია ალავერდი, როგორც სიმბოლო ქართული ეკლესიისა და მევენახეობის კავშირისა, ასევე ქვევრები. აწერია „შენ ხარ ვენახი“. მეორე მხარეს გამოსახულია ბორჯღალი, დავითგარეჯა და ბერი ქვევრით. დავითგარეჯში აღიკვეცა ბერად დემეტრე პირველი, ავტორი ლექსისა „შენ ხარ ვენახი“.

პროექტის ავტორი ეკა კვირტია ამბობს, რომ საკოლექციო ბანკნოტის გამოშვება, მით უფრო ევროკავშირის სივრცეში, საკმაოდ რთულია. საერთაშორისო იურისტმა ჯგუფმა, ქართველ მხატვრებთან გია ჯაფარიძესა და დავით მაისურაძესთან ერთად 6 თვე იმუშავა, რომ პროექტი ევროკავშირის რეგულაციებთან შესაბამისობაში ყოფილიყო.

კუპიურის შექმნის ხარჯები გაიღო TRESURIUM-მა - საკოლექციო ნივთებზე სპეციალიზებულმა ქართულ-ჰოლანდიურმა კომპანიამ. კუპიურის შექმნა მაშინ გადაწყდა, როდესაც საქართველომ ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსი მიიღო. კომპანიამ 8000-ევროიანი საკოლექციო ბანკნოტი, თემაზე: „საქართველო - ღვინის ქვეყანა“ - ევროპის ცენტრალურ ბანკთან შეთანხმებით შექმნა.

კუპიურა საკოლექციოა, ანუ მხოლოდ კოლექციონერებისთვის არის განკუთვნილი და მიმოქცევაში არ ჩაეშვება. დაიბეჭდა შეზღუდული ტირაჟით - 5000 ცალი. თუ რა ფასად შეიძლება მისი შეძენა, ჯერჯერობით უცნობია.

„კუპიურის მინიმალურ ფასს ჯერ ვერ დავასახელებ. ნუმიზმატიკურ სამყაროში ფასწარმოქმნის თემა გარკვეულ კანონზომიერებას უკავშირდება. ჯერ პირველი აუქციონი უნდა ჩატარდეს. ამისთვის ბანკნოტი უკვე გადაეცა ამერიკულ კომპანიას. ამ აუქციონის შემდეგ TRESURIUM-ს უკვე შეეძლება გაყიდვა. თუმცა, ინტერესი უკვე დიდია, როგორც ქართველებში, ასევე უცხოელებში“, - ამბობს ეკა კვირტია. „ბანკნოტები დაიბეჭდა ჰოლანდიაში და ახლა სპეციალურ საცავში ინახება. ძალიან ძნელია, მიიღო ნებართვა, მით უფრო ევროკავშირში, რომ საკოლექციო ბანკნოტის ნომინალი რამე რიცხვი იყოს (როგორც ამ ბანკნოტის ნომინალია 8000 ევრო), ძირითადად ნულოვანია ხოლმე“.

8000-ევროიანი კუპიურა სიმბოლურად განასახიერებს ღვინის 8000 მოსავალს.

2017 წელს არქეოლოგთა საერთაშორისო ჯგუფმა ქვემო ქართლში ძვ.წ. VI ათასწლეულის ვაზის წიპწები აღმოაჩინა.

მეცნიერებმა შეისწავლეს თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტიც. ქიმიური ანალიზის შედეგად, თიხის ჭურჭელზე ღვინის მჟავის კალციუმის მარილის არსებობა დადასტურდა. ამ აღმოჩენის შემდეგ ქართული ღვინის ასაკი 8000 წლით განისაზღვრა.

8000-ევროიანი ბანკნოტის პრეზენტაცია საქართველოში წლის ბოლოს გაიმართება.

ვის გაეზრდება ხელფასები მომავალი წლიდან

2025 წლის ბიუჯეტის პროექტის პირვანდელი ვარიანტის გათვალისწინებით, ჯანდაცვის პერსონალის ხელფასების 10%-იანი ზრდა იგეგმება.

როგორც ფინანსთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, ჯანდაცვის პროგრამების დასაფინანსებლად, 2025 წლის ბიუჯეტის პირველადი პროექტის მიხედვით, 1,9 მილიარდი ლარზე მეტია გამოყოფილი.

„ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამების დასაფინანსებლად სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 870 მლნ ლარზე მეტით, რომლის ფარგლებში: 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსია იზრდება 35 ლარით და განისაზღვრება 450 ლარის ოდენობით. ამავე კატეგორიის პენსიონერთა პენსია მაღალმთიან დასახლებებში თითქმის 540 ლარს გაუტოლდება;

70 წლამდე პირთა პენსია იზრდება 20 ლარით და განისაზღვრება 335 ლარის ოდენობით, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში 400 ლარს გადააჭარბებს;

გარდა პენსიისა, გათვალისწინებულია მკვეთრად გამოხატული და 18 წლამდე შშმ პირების სოციალური გასაცემლის ზრდა 35 ლარით, ხოლო დანარჩენი კატეგორიის შშმ პირთა გასაცემლის ზრდა 20 ლარით;

120 ათას სოციალურ სარეიტინგო ქულამდე მყოფი ოჯახების 16 წლამდე ბავშვების ყოველთვიური დახმარება შეადგენს 200 ლარს;

ჯამში სოციალური პროგრამების დაფინანსება შეადგენს 6,3 მილიარდ ლარს;

ჯანდაცვის პროგრამების დასაფინანსებლად გამოყოფილია 1,9 მილიარდი ლარზე მეტი, მათ შორის გათვალისწინებულია პირველადი ჯანდაცვის პერსონალის ხელფასების 10%-იანი ზრდა;

დევნილთა სახლებით უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია 240,0 მლნ ლარი“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ამასთან, 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის პირვანდელი ვერსიით, საჯარო სკოლების ადმინისტრაციული პერსონალისა და მანდატურის ხელფასების 10%-იანი ზრდაა გათვალისწინებული.

ფინანსთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გაიზრდება საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ხელფასებიც.

„განათლების და მეცნიერების მიმართულებით დაფინანსება გაზრდილია 370,0 მლნ ლარზე მეტით, რომლის ფარგლებშიც: საჯარო სკოლების დაფინანსებაზე მიიმართება დამატებით 200,0 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება მიმდინარე წლის ივლისიდან გაზრდილი ხელფასების სრულად დაფინანსება; გათვალისწინებულია საჯარო სკოლების ადმინისტრაციული პერსონალის და მანდატურის ხელფასების 10%-იანი ზრდა; გაიზრდება საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ხელფასები; საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 560 მლნ ლარზე მეტი; საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მიიმართება 180,0 მლნ ლარზე მეტი“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

უკანონო ნადირობის ორი ფაქტი დედოფლისწყაროში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონის გახსნიდან ერთ თვეში (24 აგვისტო-24 სექტემბერი), უკანონო ნადირობის 215 ფაქტი გამოავლინეს. აქედან 12 შემთხვევა დაფიქსირდა კახეთის რეგიონში, ორი კი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში.

დედოფლისწყაროში დაფიქსირდა მოსაკრებელის გადახდის გარეშე ნადირობის ორი ფაქტი. ჩამორთმეულია 27 მწყერი. გზდ-ს ცნობით, დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე არ დაფიქსირებულა აკრძალული საშუალებებითა და იარაღით ნადირობის ფაქტები და არ ჩამოურთმევიათ სანადირო თოფი.

5 შემთხვევა გამოვლინდა სიღნაღში, სადაც მოსაკრებლის გადახდის გარეშე ნადირობის სამი ფაქტი დაფიქსირდა, ორი კი აკრძალული მეთოდითა და იარაღით ნადირობის ფაქტი. სიღნაღში ჩამორთმეულია 3 სანადირო თოფი, 1 პროჟექტორი, 1 ფანარი და მანოკი.

ორ-ორი ფაქტი გამოვლინდა საგარეჯოსა და გურჯაანში, საგარეჯოში 1 შემთხვევაში სამართალდამრღვევი უცნობია, ხოლო ამოღებულია ერთი მანოკი. ერთი სანადირო თოფი ჩამოართეს გურჯაანშიც, სადაც ორივე დარღვევა მოსაკრებლის გარეშე ნადირობას უკავშირდება. ასევე მოსაკრებლის გარეშე ნადირობის 1 ფაქტი დაფიქსირდა ლაგოდეხში, ჩამორთმეულია ერთი სანადირო თოფი.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, უკანონო ნადირობის ყველაზე მეტი - 64 ფაქტი დაფიქსირდა სამეგრელო-ზემო სვანეთში; 57 სამართალდარღვევაა გამოვლენილი იმერეთში, 28 - შიდა ქართლში, 16 - გურიაში, 14 - მცხეთა-მთიანეთში, 12 - კახეთში, 10 - სამცხე-ჯავახეთში, 9 - ქვემო ქართლში, 2 - აჭარაში, 1 კი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა უკანონო ნადირობის 2 ფაქტი აღკვეთეს ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებშიც.

ქვეყნის მასშტაბით გამოვლენილი სამართალდარღვევებიდან 200 აკრძალული იარაღით ან მეთოდით ნადირობის ფაქტებია. 15 შემთხვევაში სამართალდამრღვევები გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებლის გადახდის გარეშე ნადირობდნენ, 1 კი, ნადირობის წესების დარღვევის ფაქტია. ბრაკონიერებმა უკანონოდ მოინადირეს 27 ერთეული მწყერი, რომელიც დედოფლისწყაროს ველებზეა ჩამორთმეული.

ნადირობის სეზონის დაწყებიდან 1 თვეში ამოღებულია 198 ერთეული ფრინველის მოსაზიდი ხელნაკეთი ხმოვანი სიგნალების გამომცემი ელექტრონული მოწყობილობა.

უკანონო ნადირობის ფაქტების გამოვლენისა და პრევენციის მიზნით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები, ნადირობის სეზონის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, 24-საათიან გაძლიერებულ კონტროლს ახორციელებენ. ამასთან, მყისიერი რეაგირება ტარდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე (153) შემოსულ თითოეულ შეტყობინებაზე.

ილია მარტყოფლიშვილი

მამაკაცი გარდაცვლილი ნახეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში უბედური შემთხვევა მოხდა. 2 ოქტომბერს, სოფელ გამარჯვებაში, 32 წლის კაცი საკუთარ სახლში გარდაცვლილი ნახეს. ადგილობრივები ამბობენ, რომ ცხედართან ერთად სანადირო თოფი იპოვეს, ამიტომაც გაჩნდა ვერსია, რომ შესაძლოა მას იარაღი წმენდის დროს შემთხვევით გაუვარდა და სიცოცხლესთან შეუთავსებელი სხეულის დაზიანება მიიღო. ახლობლების ინფორმაციით, მას იარაღი საკუთარ სახელზე ჰქონდა რეგისტრირებული.

ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარების ეკიპაჟს გარდაცვლილი სტაციონარში აღარ გადაუყვანია.

გამოძიებამ უნდა დაადგინოს, მამაკაცმა თავი მოიკლა, თუ შემთხვევით გაუვარდა. ექსპერტები ტყვიის ტრაექტორიასაც სწავლობენ. სოფელში ამბობენ, რომ რამდენიმე თვის წინ ის სასაზღვრო პოლიციიდან გაათავისუფლეს და უმუშევრად დარჩა. ამის გამო მას სამუშაოს საძიებლად სოფლიდან თბილისში წავიდა, ხან დედაქალაქში იყო, ხანაც სოფელში. ადგილობრივები გარდაცვლილს დადებითად ახასიათებენ.

შსს პრესსამსახურში გაზეთ „შირაქს“ უთხრეს, რომ მომხდარ ფაქტზე გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. მოკვლევას დედოფლისწყაროს პოლიციის რაიონული სამმართველო აწარმოებს. **შირაქი**

ეზოს კეთილმოწყობის კონკურსი საბავშვო ბაღებში

სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საბავშო ბაღებში ეზოების კონკურსი გამოცხადდა, რომელიც გასულ კვირას დასრულდა და გამარჯვებულები გამოვლინდა. პირველ ადგილზე დასახელდა სოფელ ზემო ქედის №2 საბავშვო ბაღი, ხოლო მეორე გამარჯვებულად თავად სააღმზრდელო ცენტრმა არხილოსკალოს საბავშვო ბაღი გამოაცხადა. მოქალაქეთა დიდი მხარდაჭერა ჰქონდა სოფელ ხორნაბუჯის საბავშვო ბაღსაც, თუმცა მას საპრიზო ადგილი არ შეხვდა. 3 ოქტომბერს სააღმზრდელო ცენტრში დაჯილდოვების ცერემონია გაიმართა.

„დიდი მადლობა თითოეულ მონაწილე ბაღს — თქვენი კრეატიულობა და შრომა ნამდვილად შეუფასებელია! თქვენმა ნაშრომმა და სიხალისით სავსე ეზოებმა ყველა ჩვენგანის გული გაათბო.

პირველი გამარჯვებული — სოფელ ზემო ქედის №2 საბავშვო ბაღი, *რომელმაც ყველაზე მეტი მოწონება დაიმსახურა! დიდი მადლობა ყველას, ვინც მხარი დაუჭირა ამ შესანიშნავ ნამუშევარს!*

მეორე გამარჯვებული — სოფელ არხილოსკალოს ბაგა-ბაღი, *რომელიც შეირჩა სააღმზრდელო ცენტრის ადმინისტრაციის მიერ. მათი ეზო გამოირჩევა როგორც კრეატიულობით, ასევე ხასიათდება როგორც ფუნქციური განვითარების სივრცე ბავშვებისთვის!*



განსაკუთრებული მადლობა თითოეულ საბავშვო ბაღს, რომელმაც აქტიურად მიიღო მონაწილეობა კონკურსში! თქვენმა შრომამ და ინიციატივამ არა მხოლოდ კონკურსი, არამედ ბავშვების ყოველდღიური გარემო უკეთესი გახადა. ყველა მონაწილე ბაღი მიიღებს მადლობის სერთიფიკატს გაწეული შრომისა და კრეატიულობის აღიარებისთვის!

ორივე გამარჯვებულ ბაღს გადაეცათ ჩვენი სპეციალური საჩუქრები, რომლებიც მომავალშიც შეუწყობს ხელს მათი სივრცეების კიდევ უფრო განვითარებასა და გამრავალფეროვნებას!

დიდი მადლობა თითოეულ საბავშვო ბაღს, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო კონკურსში და უზარმაზარი შრომა ჩადო თავის ნამუშევრებში. ჩვენთვის თითოეული თქვენგანი გამარჯვებულია! გულწრფელად გისურვებთ მომავალში არაერთ წარმატებას და კრეატიულ პროექტს! ჩვენ ყოველთვის თქვენ გვერდით ვიქნებით, რომ ბავშვებისთვის შექმნილი გარემო იყოს უსაფრთხო, სასარგებლო და სიხარულით სავსე.

ვულოცავთ გამარჯვებულებს და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო. ეს იყო მხოლოდ დასაწყისი. იმედი გვაქვს, რომ მომავალშიც დავგეგმავთ არაერთ საინტერესო და სიხარულით სავსე აქტივობას!“ — აღნიშნავენ დედოფლისწყაროს სკოლამდელი აღზრდის ცენტრში.

გაზეთი „შირაქი“ გამარჯვებული ბაღების ხელმძღვანელებს გაესაუბრა და მათი შეფასებები მოისმინა.

ანა ღუდუშაური ***(ზემო ქედის №2 ბაღის მენეჯერი):*** *„მიმდინარე წლის დასაწყისში მსოფლიო ბანკის დაფინანსებით გავიარეთ ტრენინგი, რის შემდეგაც საბავშვო ბაღის შიდა და გარე სივრცეები მოვაწყეთ. პროფესიული განვითარების ტრენინგები საბავშვო ბაღების მენეჯერებმა და აღმზრდელებმა გავიარეთ და ექსპერტებმა ბევრი სიახლე გვასწავლეს. ძალიან კმაყოფილები დავბრუნდით ამ სწავლებიდან და ბევრისმომცემი იყო ჩვენთვის. სწორედ მათი რეკომენდაციებით მოვაწყეთ ეზო. ამ კონკურსისთვის რამდენიმე თვეა ვემზადებოდით. მშობლების და მეგობრების დახმარებით, ნაჩუქარი მეორადი მასალების გამოყენებით მოვამზადეთ დეკორაციები, რომლითაც ეზო გავაფორმეთ. დიზაინერი არ გვყოლია, ყველამ შეიტანა ამაში თავისი წვლილი და საკუთარი ხელით მოვაწყეთ. გარკვეული სტანდარტები იყო მოცემული და ამის მიხედვით ვიმოქმედეთ. კონკურსის გარეშეც სამომავლოდ ისევ გავაგრძელებთ ეზოს მოწყობას. ამ დეკორაციებს კი სხვადასხვა აქტივობებში გამოვიყენებთ. ცხადია, კონკურსმა მეტი მოტივაცია მოგვცა. ჩვენ პირველ ადგილზე ხმების მიხედვით გავედით, ამიტომ მადლობას ვუხდი თითოეულ მათგანს დახმარებისთვის. გვერდით დაგვიდგა ადგილობრივი მოსახლეობა, მეზობელი სოფლები და ემიგრანტები. სიმართლე გითხრათ, გამარჯვების მოლოდინი მქონდა, მაგრამ კონკურენციის გამო დარწმუნებული არ ვიყავი. საბოლოო ჯამში, მოსახლეობის აქტიურობამ და მათმა მხარდაჭერამ მოიტანა ეს შედეგი და დიდი მადლობა ყველას.“*



ეთერ ქენქაძე ***(არხილოსკალოს ბაღის მენეჯერი):*** *„აღელვებული ვარ. მადლობა ჩვენს სააღმზრდელო ცენტრს იდეისთვის, იმ გაწეული შრომისთვის, რასაც პერსონალის გადამზადება ჰქვია. რომ არა ტრენინგი, ჩვენ ამდენს ვერ შევძლებდით. მადლობა სამართლიანი შეფასებისთვის. ეს ჩემთვის უმაღლესი შეფასებაა, რაც მეტ სტიმულს მაძლევს მეც და ჩემს გუნდსაც. ძალიან სასარგებლო ტრენინგი გაგვატარა სააღმზრდელო ცენტრმა, რაც ნაყოფიერი აღმოჩნდა. იქ გავეცანით ეზოს მოწყობის სტანდარტებს, მას შემდეგ დავიწყეთ ფიქრი. არდადეგებამდე დავიწყეთ შრომა, მშობელთა დახმარებითა და ჩართულობით შევძელით ამ ყველაფრის გაკეთება. გვეხერხება ეს საქმე და საკუთარი ხელით გავაფორმეთ. თავმდაბალი ვიქნები, მაგრამ გამარჯვების მოლოდინი ნამდვილად გვქონდა. სხვა ბაღების ეზოები ძირითადად სილამაზეზეა გათვლილი, ჩვენ კი ყველა დეტალი აქტივობების მიხედვით დავგეგმეთ და 18 სახეობის კუთხე მოეწყო და ყველა მათგანი სასწავლო პროცესში დაგეგმილ აქტივობებში გამოგვადგება. რა რეკომენდაციაც გვქონდა სპეციალისტების მიერ, რომ ესა თუ ის აქტივობა სასარგებლოა ბავშვისათვის, ვეცადეთ ყველაფერი ჩაგვერთო ეზოში და ხორცი შეგვესხა. ვფიქრობ, ჩანაფიქრი კარგად გამოგვივიდა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, სააღმზრდელო ცენტრს, ჩემს გუნდს, ბავშვების მშობლებს გვერდში დგომისთვის“.*



ემოციებს გვიზიარებენ აღსაზრდელთა მშობლები, რომლებიც მოტივაციაზე საუბრობენ და თითქმის ყველა საბავშვო ბაღში არსებული პირობებით კმაყოფილნი არიან.

„ბავშვებისთვის გარემოს გალამაზება მხოლოდ ხელისუფლებისა და ბაღის თანამშრომლების საზრუნავი არ არის. მშობლებმაც უნდა შეიტანონ წვლილი. პატარები საბავშვო ბაღში უფრო მეტ დროს ატარებენ, ვიდრე ოჯახებში. ამიტომაც სიამოვნებით ჩავერთეთ ამ ინიციატივაში და მაქსიმალურად ვეცადეთ, ვისაც რა შეგვეძლო ის ნივთი მოგვეტანა ოჯახებიდან და ფიზიკურადაც დავხმარებოდით მასწავლებლებს იდეების ხორცშესხმაში. გაცნობიერებული გვაქვს, რომ რაც უკეთესი გარემო მოეწყობა საბავშვო ბაღების ეზოებში, მით უკეთესია ჩვენივე შვილებისთვის, ამიტომ უკან არ დაგვიხევია. იყო დრო, როცა შეშა, საკვები მშობლებს სახლიდან მიჰქონდათ და პლუს, ყოველთვიურ გადასახადსაც იხდიდნენ, პირობები კი მაინც არ არსებობდა. ახლა საუკეთესო პირობებია ყველა ბაღში. აღარც გადასახადია და მშობლებსაც აღარ გვთხოვენ საკვები პროდუქტების სახლიდან მომარაგებას. შესანიშნავი პირობები აქვთ და მხოლოდ ღონისძიებებში თუ დასჭირდებათ მშობლების თანადგომა და ჩართულობა, ცხადია საამისოდ მზად ვართ“. — აღნიშნავენ მშობლები.

ილია მარტყოფლიშვილი

გოდერძი ჩოხელის გამონათქვამები...

„ახლა ყველა ადამიანი მოთხრობა მგონია და ყოველ მათგანს სათაურს ვუძებნი“.

„ქალის სიყვარული დასაწყისია იმ დიდი სიყვარულისა, რასაც მარადიული სიცოცხლე ჰქვია“.

„სიყვარულთან ერთად, თუ სიყვარულის გარდა ამ ქვეყანაზე არსებობს ბედისწერა, რომელიც ყველაფერს თუ არა, თითქმის ყველაფერს განაგებს ადამიანის ამქვეყნურ შარაგზაზე, ზოგისთვის რომ მართლა შარაგზა არის და ზოგისთვის კი, მიხვეულ - მოხვეული, ეკლიანი ბილიკი. სიყვარული კი ისეთი ღვთიური გრძნობაა, გინდა შარაგზაზე იდგე და გინდა მიხვეულ - მოხვეულ, ეკლიან ბილიკზე, ამ გრძნობას უიღბლოს ვერ უნოდებ, იმიტომ რომ ის სიყვარულია“.

„ბავშვები სუფთა იბადებიან, ადამიანებს მერე გვემღვრევა სული“.

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 მეტრკვადრატი, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით , ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 მეტრკვადრატი ხეხილით, რკინის კარით. ფასი 34 700$ ტელ: 595 32 47 61

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 07.10	სამშაბათი 08.10	ოთხშაბათი 09.10	ხუთშაბათი 10.10	პარასკევი 11.10	შაბათი 12.10	კვირა 13.10
დღე	22°	25°	25°	23°	22°	21°	19°
ღამე	11°	13°	12°	12°	12°	11°	11°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა გენაშვილი (კორექტორი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი